



10-11.1981.

შინაგა

ეს საქართველო იმ თასივით უნდა დაუქარვოთ,  
ისტორიაში რომ ხატავენ!.. ჩვენი ვაღიბა,—  
გვექნეს ის თასი სულ ჰირსავსედ, სამოდ,  
საკარგოდ,  
ხალხსვე მოხმარდეს, ქვეყნად რაც კი მოსავალია!

გალაკტიონი



# საიუბილეო საღაღობო

## საბჭოთა საქართველოს

შენი სამოცი წლისთავზე რა საღამური გავთალო, რომ შემოგძახო სამოცწერ, მიწავ, ზეცამდე მართალო! შენებრ ვინ ზარდა შეილები — ლომად, ვეფხვად და ავაზად, ან ვინ მომკვდარა სიკვდილით პაატახავით ლამაზად? სიხსლი ვინ ღვარა შენდენი, როცა ქვეყანას უჭირდა, ხევა სად აფრინდენ არწივნი, მიწიდან — ერთი მუჭიდან? რამდენ განსაცდელს გაშოსციდი!.. შენს კირთათმენას დიდება!.. ბევრწერ, შავებიც ჩავიცვამს, აცრემლებულხარ კიდევაც! ბევრწერ „ვარადაც“ გამღერეთ და ჩიხტაკობიც დაგზურეთ, ვით გამარჯვებულ სიცოცხლეს, სიკვდილით მოგვმსახურეთ!

დღეს შენს სამწყსოს და საბუღარს მარჯვენა მართავს მართალი! ვეღარ ბოგინობს მამულში გულბორბოტი და ართვლი! ოთხმოცი ერის ძეხორცი შენი კალთის ქვეშ იზრდება, შემოგცქერია ღვიძლებად, განა — უცხოდა და ხიზნება! ბევრს გაუწიე დედობა, ბევრის გერობამ გიწია, ბნელკაცობით და მზაკვრობით ყველამ თავისი იწვინა!.. და, როცა ოფთი გვდიოდა ჩვენს სათაყვანო მამულში, — ზოგმა ვაგვწირა, გვიგანა, დაგვტოვა შრომის აღმურში! არ გაკლდა სეტყვა-გვალვები შენ — ჩვენს მფარველს და მარჩენალს.

მაგრამ არ შეგვირცხვენია შენგან ნაწრთობი მარჯვენა! გილხინს თუ გიჭირს ყოველთვის გაქვს რაინდული იერი! — ორახი წელიწადია რუსი ძმითა ხარ ძლიერი! დღეს გარს გარტყია შეილები — სულში ანთებულ ხანთლებით, რომ იუბილარს დედაბრძენს გითხრან მართალი სათქმელი: დაბადების დღეს გილოცავს თავისი ჯადო-თილისმით ძმობის ქალაქად ნაკურთხი დედაქალაქი თბილისი! გილოცავს ქართლი ნაქები, თავისი ნაღდი ქართლობით, იმ ერთი მწეპაბუკობით, იმ ერთადერთი მნათობით! გილოცავს ვაზის ნაუურიტ ჭიქანდამსკდარი კახეთი, რომ გაგვიზღაბრა მამული ჩრდილოეთით და სამხრეთით! ხევა ვინ დაასწრებს მოლოცვას დიდი აკაკის იმერეთს, ვინც „ცა-ფირუზი“ შეგარქვა და დაგიშაქრა სიბერე! ხევამ ვინ გაგიბა სიმები იმ! დიდებული „ურმულის“, რომ გაგიგრძელდეს სიცოცხლე, ვით „კრიმანჭული“ გურული! მომლოცვებებს და ერთგულებს გამჩენი როგორ მოგიშლის და ოჯალღებით გადიდებს უუძველესი ოდიში! შეგერგოს ლოცვა სვანეთის — მთებზე დადგმული სპექტაკლის, „ლილეოსავით“ მაღალის და უშმახავით სპეტაკის! სულ იავნანად გეფინოს რიონის ტალღის რონინი, ხან ღეჩხუმივით გულუხვი, ხან — მსუყე რაჭულ ლორივით! გლოცავენ თუშ-ფშავ-ხევსურნი მუხლჩაუხრელი დარაჯნი, რომ დაუცვიხარ მრავალწერ ცხენ-აბჯრით, ფარით, ფარაჯით!.. მოლოცვას მოსდევს მოლოცვა — აღმოსავლით და დასავლით — აფხაზეთის და აქარის — ორი კაშკაშა ვარსკვლავის! შენს იუბილე-ზეიმზე დასალოცავად მოსული, ცერზე შემდგარა ოხეთი, ვით ცეკვა „სიმღი“ ოსური!

იცოცხლებ, — ჩვენით იცოცხლებ! მოკვდები, — ჩვენით მოკვდები, მაგრამ არასდროს გაგწირავს შენი საუფლოს ბოკვრები! შენს სხენში ნალივლივები, შენს ემბაზში ვარს ნაბანი, ნაკურთხი — შენი ზედაშით და შენი ქუშუანბანით! ზმლით და ფიალით დაპურებ შენს სამწეოს და სადროშეს, რომ ბატონობდეს მშვიდობა, თვალში ცრემლები ამოშრეს, რომ ღერბზე გამოსახული ვაზი, თავთუხის მარცვლი, ახალ ხუთწილედშიც გვატკობდეს — ათწერ იმდენი, რაც არის!



სატირისა და იუმორის ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიამ შეაჯამა საუკეთესო სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები. კონკურსი მრავალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კონსტიტუციური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილეს.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია არავის არ მიანიჭებია.

**მეორე პრემია** — 200 მანეთი თითოეულს — მიენიჭათ:

1. ვახტანგ გოგოლაშვილს — ლექსი-სათვის „აი, რა მოხდა აბაშიში!“;
2. გვანჯი მანიას — კონკრეტული კრიტიკული ფელეტონისათვის „წაღმა უკუღმა ანუ ბედოვლათების კვალდაკვალ“;
3. მურად ჭანტურაას — იუმორისტული მოთხრობისათვის — „რეპორტაჟი ცაში“.

**მესამე პრემია** — 100 მანეთი თითოეულს — დაიმსახურეს:

1. ნიკა აგიაშვილმა — მოგონებათა ციკლისათვის „ხუმრობად თქმული“;
2. გურამ კლდიაშვილმა — ლექსისათვის „საიუბილეო საღაღობო საბჭოთა საქართველოს“;
3. გარი მეტრეველმა — მოთხრობისათვის „ქარაშხალი საქართველოში“;
4. ანა მხეიძემ — იუმორესკისათვის „პირველი სადილი“;
5. თამაზ სალუქვაძემ — პამფლეტისათვის „მეცნიერული ძიებანი“;
6. ივერი ტაბიძემ — ფელეტონისათვის „ჩვენი საქართველო“;
7. ოთარ შალამბერიძემ — ლექსისათვის „უჭვის ჭია“;
8. ალექსი ჭინჭარაულმა — ქართული ხალხური სატირულ-იუმორისტული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებისათვის;
9. გელა ჯიღაურმა — მოთხრობისათვის „ჯადოსნური ხალათი“.

**პრემიები** — 100 მანეთი თითოეულს — ნახატი კარიკატურების სერიებისათვის მიენიჭათ:

მურთაზ აბაშიძეს და იური ყვინაშვილს.

ნახატი კარიკატურების საუკეთესო თემების წარმოდგენისათვის 50-50 მანეთით დაჯილდოვდნენ:

მზია გოგიშვილი, ჭაბუა დეისაძე, გიორგი დონდოლაძე, ნიკოლოზ იოსებბიძე, ვალერიან მამუკლაშვილი, კახი პატიაშვილი.

ჟიურმა „ნიანგის“ ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად რეკომენდაცია მისცა აგრეთვე ნაწარმოებებს, რომლებიც დროდარო გამოქვეყნდება.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კონკურსზე წარმოდგენილი მასალების უმრავლესობა გამოიჩინევა თემების აქტუალობით, მხატვრული ღონით, მაღლობას მოახსენებს კონკურსის ყველა მონაწილეს და უსურვებს მათ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს!



# „ფორმალური — — ბოლშევიკები!“

ეროვნული  
ბიულეტენი



ილუსტრაციები ვ. ლოლუასი

ღმერთო დიდებულო, საიდან სადაო, მაგრამ ინგლისის არქივებში არის დოკუმენტი, რომელზეც შავით თეთრზე ასეთი რამ წერია: „ყველა ბოლშევიკი, რომელიც შემოვა საქართველოში, დაპატიმრებული უნდა იქნეს მცხეთაში მტკიცე მეთვალყურეობის დაწესებით, რადგან მათ გამოჩენას შეიძლება ბევრი მოულოდნელობა მოჰყვეს“.

დოკუმენტი, რომელშიც ეს სტრიქონებია, არ განეკუთვნება იმ საიდუმლოებათა რიცხვს, ინტელიჯენს სერვისისა და ფორენს ოფისის შეფები ცხრაკლიტულს მიღმა რომ გადამალავენ ხოლმე, იგი თავის დროზე გაზეთებში გამოქვეყნდა და ხელს აწერდა ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდალი საქართველოში გენერალი უოკერი, ხოლო კაცი, რომლისგანაც კატეგორიულად მოითხოვდნენ ამ საჩიოთირო საქმის მოგვარებას, არც მეტი, არც ნაკლები, მენშევიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

გენერალ უოკერის კანცელარიამ ეს წერილი რეგისტრაციაში გაატარა 1919 წლის 14 თებერვალს, სანამ ადრესატს გაუგზავნიდა.

რატომ აეკვიატა გენერალ უოკერს ასეთი აზრი? ეტყობა, იგი არც ისე კარგად ერკვეოდა იმ ამბებში, რაც მის გარშემო ხდებოდა. ამაში უოკერი ცოტა მოგვიანებით გაერკვა, როცა ყველაფერი უკვე გვიანდა იყო. გენერალი, უბრალოდ, მისმა დამქაშმა მენშევიკებმა შეიყვანეს. შეცდომაში, როცა არწმუნებდნენ საქართველოს ბატონ-პატრონები მხოლოდ ჩვენი ვართ და თუ რამ საშიშროება გველის, მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთისაგანო.

გენერალ უოკერის მრავალტანჯული სული კარგა ხანია მიიბარა უფალმა და მხოლოდ ამ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოესწრო იგი საქართველოში ბოლშევიკების გამოჩენაზე უფრო დიდ სასწაულებს: ექვსი ათეული წლის შემდეგ ქართველი ბოლშევიკების შთამომავლები თვით უოკერის სამშობლოში გამოჩნდნენ და მართლაც ათასი მოულოდნელობა ჩაიტანეს — ჯერ იყო და, „კავკასიური ცარცის წრისა“ და „რიჩარდ მესამის“ მხილველმა, თავშეკავებულიობით განთქმულმა უოკერის თანამემამულეებმა ლამის იყო, ტაშისცემით დაქცევს „რაუნდ ჰაუზისა“ და შექსპირის სამშობლო ქალაქის თეატრების დარბაზები, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ათიათასობით ინგლისელის თვალწინ „გარდენ პარკის“ სტადიონზე დაუმარცხებელი „ვესტ-ჰემის“ მეყარე აიძულეს, ოთხი ბურთი გამოეტანა საკუთარი კარიდან, ერთის საპასუხოდ (მერე კი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ელვარება თბილისში ჩამობრწყინეს).

ან მსოფლიოს სხვა ქვეყნებში საქართველოდან „შესეული“ სხვა „დამპყრობლები“ ავიდოთ — ჭადრაკის დედოფლები, ჯარისკაცის ფარაჯამოხვეული „ჯარისკაცის მამა“, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის, ანსამბლ „რუსთავის“ რაინდები და ნარნარი სეფე-ქალები, მრავალ საუკუნეთა მიღმა გაჩენილ ჰანგთა პოლიფონია, ზღვებსა და ოკეანეებს მოდებული ქართული წყალქვეშა ფრთიანი კატარღები, ის კი არაა, ცის კაბადონებზე ვარსკვლავებად აკიაფებული ქართული გვარები, უძველესი უნივერსიტეტებისა და აკადემიების საპატიო წევრები, ერთი სიტყვით, „ჯერ არნახული და არგაგონილი“ სასწაულები და მოულოდნელობანი რევოლუციური საქართველოსი!

საოცარია, რატომ ახლა მაინც არ მიაგებენ ღირსეულ პატივს და წინასწარმეტყველთა შორის არ შერაცხავენ, ინგლისელები ისტორიისაგან უსამართლოდ დაიწყებულ გენერალ უოკერს, რომელმაც ოდესღაც იწინასწარმეტყველა, ბოლშევიკების მოსვლას ბევრი მოულოდნელობა მოჰყვებო!

დავით მჭედლური



## ეჭვის ჭიკა

ერთი კაცი ვნახე,  
„ეჭვის ჭიკა“ ჰქვია! —  
ნამდვილ გვარს და სახელს  
არც კი ეძახიან!

აბა, ახეთ არხებას,  
მუდამ ეჭვით დაგეშელს,  
რანაირად ჩააბამ  
სახიკეთო საქმეში?!

„ეს ამბავი ხატევი...“  
„უძველესი შემოწმდეს!..“  
„ოქმებს ხელს ვერ მოვაწერ!..“  
„გადახინჯეთ მეოცედ!..“

ეს ფრაზები საკუთრივ  
ეჭვებით აქვს ნაკურთხი!

გადაეჭვა მანვე ძალად  
ეჭვის „შხამი“ და სამხალა,  
ეჭვით ცოლი მოიწელა,  
ბავშვის „შობაც“ არ აცალა..

ეჭვი — მარცხნივ!  
ეჭვი — მარცხნივ!  
ეჭვი — იქ და  
ეჭვი — აქ!..  
ეჭვის გამო  
გაქცა მარცხი  
თქმასაც გადაეჭვია!

არაფერში თავს არ იჩენს,  
არაფერში არ ერჩება..  
და ყველაფერს ურჩევნია  
ყველაფერში დაეჭვება!

მოადგილეს შარი მოხდო  
(ლამის იცეს დაემსგავსოს!) —  
პირველივე დღიდან ვიცო,  
უთვალთვალე ჩემს სკამსო!

დაიბარა მუშაკი:  
— საპენსიო ხარტო!  
— სამი წელი მაქვია,  
სამუშაოც მაქვს ხანდო!  
ამოიღო პასპორტი,  
დადო დიდი ამბით.  
„ეჭვის ჭიკა“ დახედა:  
— პასპორტი უაღბო!

ეჭვის თვლით უყურებს  
თითოეულ ნოვატორს!  
ხუდ თავისთვის ბუზღუნებს:  
„დავიცადოთ!..“  
„მოვადრეო!..“

ცდებზე სიტყვა შეაპარეს,  
შან ტლინკები აჟყარა:  
— მირჩევნია, სტანდარტულად  
იმუშაოთ ქარხანაში!  
რა ხიანდეს კაცმალოთ,  
არის სწორედ გასაცხირო!  
იმუშავეთ თქვენთვის, წუნარად  
და მთელი ქამგირი!  
ჩემი რჩევა იახლეთ,  
დამერწმუნეთ ამაში,  
რომ უოველი ხიანდეს  
არის ცეცხლთან თამაში!  
ვინც ცდებს არ მოეშვება,  
სამხალსურსაც დატოვებს!  
ბავშვობიდან ვერ ვიტან  
ექსპერიმენტატორებს!

ეჭვი — შინ და  
ეჭვი — გრეთი..  
ეჭვი — იქ და  
ეჭვი — აქ!..  
ეჭვის გამო  
ხსვის მირამეულ  
კერძასაც გადაეჭვია!

ერთში კი ჰგავს მართალს,  
ერთში კი გულწრფელი, —  
რომ საკუთარ თავსაც  
უკვე ეჭვით უსჯერებს!



მრავალი ათეული წელია, მახარადის  
რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნობას სათა-  
ვეში უცვლელად უდგას ხუთგზის ლენინის  
ორდენის კავალერი, სოციალისტური შრომის  
გმირი მიხაკო ორაგველიძე.

ნახ. გ. ფირცხალაშვილი



— მიხაკო გიძია, ერთ ახალგაზრდაზე რომ გრძნობდით, ჩემი  
ადგილისათვის ვამზადებო, სადაა ახლა იგი?  
— იგი, გიძია, კაი ხანია პენსიაზე გავიდა!..

## ეპიგონები პაპაჩიშის ცხოვრებიდან

იღმა 1917 წლის 25 თებერვალი. ზამთრის  
მიწურული. კახეთის ერთ-ერთ სოფელში, რო-  
მელსაც არაშენდას ეძახდნენ, ყავრით დახურულ  
მიწურში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს  
სამყებნა სკამებზე მისხდნოდა. გათვლილ თი-  
თებს იორთქლებდნენ და ისე ითბობდნენ.  
დროდადრო ცოლი შეკითხვებს ამოიხრებდა  
ხოლმე:

— მიხა, ტყიდან შეშას როდის ჩამოიტან?  
— თავადი ტყეში არ მიშვებს, ასე იძახის,  
ჩემი საკუთრება ჩემი ნებაა!  
— მაშ, ამ ზამთრის მიწურულს კოკურაში  
ჩასხმული წყალივით უნდა გავიყინოთ?  
— აბა, რა ვიცი, ბუნების გამჩენი ძალის  
იმედითაა უნდა გვემდებოდეს. ერთი კია, ჩემო  
მართა, შენა მზითვეში კაი თივითის საბნები  
რომ მოგყოლოდა. ზემოდან ცხვრის ტყავების  
დაყრა აღარ დაგეპირდებოდა! — თავისთვის  
ჩაიჭირებდა მიხამ.

— უი, თვალის კი დამიდგება! რომელი სიმ-  
დიდრის პატრონი მეღაფრები, აქეთ რომ საბნებსა  
მთხოვ?! შენ რა, ციხე-დარბაზები და ნიკლის  
კრავატები დამახვედრე?! ქარი რომ ამოვარდე-  
ბა, შენი ბუღურგანა სასახლე მამლის ბოლოსა-  
ვით ქანაობს! — გაწიწმადდა მართა.

— მაშაშენს ესეც არა აქვს! — ნიშნი მიუგო  
მიხამ და თავის მიწურს თვალი მოავლო.  
— მაშაშენს რომ ციხე-დარბაზები ჰმადებოდა,  
შენისთანა კუნელის ჯაგს კი არ გამოვეყვებოდი,  
შე ვიცოდი და ჩემმა ქალობამ! — მართა თავის  
ნათქვამში ჩაბთხოვდა.

— რატომა ვარ კუნელის ჯაგი? — აიჯაგრა  
მიხა.  
— ჩემი თუ არა გჯერა, სარკეში ჩაიხედე!  
თუმცა, სარკე ვინ მოგაშვია, გუბის წყალში  
იყურები და შენი თავი თეთრი გიორგი გგო-  
ნის! — მართას ღიმილი არ სცილდებოდა სახი-  
დან.

— სარკეში ჩახედვა არც შენ გაწყენდა, შე  
ბარდის გომბო, შენა! — მიხამ კოლს ისე  
შეუყვარა, კინაღამ ყელი ამოელანდა.  
— აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ბუერა თავზედა,  
სამი ბზობაა, ტანი და თავ-პირი არ დაგიბანია  
წესიერად და შენ როგორ მედრები?  
— რა ჩემი ბრალია, აბანო, საპონი, პირსა-  
ხოცი და სხვა ჩვენ არ გავგაჩნია და რა ჩემი  
ბრალია?! — თვით იმართლა მიხამ.

— მეტრეა, რატომ?! — გამოეკითხა ცოლი.  
— გოგო, გულ-მუცლის ბორცვა არ აგიტე-  
ხო, ემანდა ჰქვიათ ეგდე! ვერ მიყურებ, რა-  
ნაირ ჯაფაში ვარ, ოფლად ვიღვრები, მაგრამ  
ჩემი შრომა შაურის ფასია! როცა იქნება, ჩემი  
დროც მოვა! მაშა, მაშა!

მომვიდა 1921 წლის 25 თებერვალი. ისევ  
სოფელი არაშენდა, იმავე ცოლ-ქმარი.  
— რევეკომის თემგდომარემ ტყეში ხის მოჭ-  
რის ბალეთი მოშვა! ეს საბანი და ლეიბი კი

კოპრატემა ავანსად მარგუნა! — მიხამ ტახტზე  
ნაბოძები გადმოალაგა.

— ავანსი რაღაა? — იკითხა მართამ.  
— ავანსი არის ნისია! — თავისებურად აღუ-  
სნა მიხამ.

— მე კი მეგონა, გაჩუქეს-მეთქი!  
— ე, გონზე მოდი! მაშ, ჩუქება არ არის,  
ფულს თანდათან რომ გადაიხდი?! — მიხამ  
სახე ბრაზისგან აწერა.

— ჯა, სარკეც იმ კოპრატემა მოგცა?  
— მაშა, მაშა! — დუღუღუნებდა მიხა.  
— ე რაღა ქაღალდებია? — თვალები ჭყიტა  
მართამ.

— თავადი რომ მარტო თვითონ პაპაჩიშობდა  
აბანოში, ახლა აბანო საერთოდ გამოაცხადეს და  
ეს ქაღალდები შიგ შესასვლელი ბილეთებია!

— უი, ჯა! დიდი ბატონი საღა იბანავებს?! —  
იკითხა მართამ.

— გიორის აბანოში! — მკახედ უპასუხა მიხამ.

— მიხა, ეს კაბა მე უნდა ჩავიცვა? — იკით-  
ხა ყელში სიხარულმომბეჭნილობა მართამ.

— სწორედაც, რომ ეგ ატლასის კაბა შენ  
უნდა ჩავიცვა! მე კიდევ — დიანაგანის შარ-  
ვალი!

როცა მიხამ შარვალი ჩაიცვა და სარკის წინ  
დაიწყო მისრა-მოხრა, მართამ ხუმრობანარევი  
ღიმილით უთხრა:

— იი, ღერბავით მარკების გამყიდველს არ  
დაემგებენ, შე შეჩვენებულ, შენა!

— ე, პირბალო, ახალი კაბა რომ გადაიცვი,  
კენიანა დაროდ მეზმანები! წმინდა გიორგის მად-  
ლმა, თუ ნამცეცსა ვტყუოდე!

— მაშ, იმ ბობოლესა ჰგონიათ, რომა მარტო  
თვითონა აქვთ საყვინო ტან-ფეხი? იგეთი ვი-  
ბარიშრო რომა, შენი მოწონებულო! — მართამ  
მიწურში კაბის შარიშურით გაიარ-გამოიარა.

— ფრთხილად, არ გამიფრინდე, ჩემო პირ-  
ბალო! — მიხამ მართას ხელი დაავლო და პაე-  
რში აიტაცა.

შემდგომად მოაწია 1931 წლის 25 თებერ-  
ვალმა.

მიხა შარაბნით მოადგა თავის სახლს და ერთი  
გნიახი გააბა:

— მართიკო, მარგალიტ!  
— რა ელდა გეცა, კულაქები ხომ არ მოგდე-  
ვენ?! — აივანზე გამოთუხთუხდა მართა.

— რას ამბობ, რი კულაქები, რა კულაქები!  
რაღა დროს ეგენი არიან?! ერთი გემრიელად  
შემომხედე, ბუშლატა და გარობანდი მიხედება!

— პროსტო პრეტესტ, ნარკომსა გეცხარ! მოი-  
ცა, მოიკა! ეგ შარაბანი ვისია?  
— მაშაშენმა მიყიდა, თანაც ასე მითხრა, კარგ  
მარჯვენას წახალისება უნდაო!

— არადა, სხვა გიყიდა! არა, შენც კი შეგი-  
ძლია ფეტონის ყიდვა, მაგრამ რაღა მაინცადა-  
მაინც მაშაშენს დაეხარნე, აქილდა კომუნის თავმ-  
ჯდომარეო!



— ქალო, გეყოფა ლათიები, ბალღებს თბილად ჩააცვი, ქალაქში წავიდეთ, ცირკი ჩამოსულა, ბოთლიდან კაცი ამოდის და ისევ შიგ ჩადის!

— ისეც რა გითხრა! — თავისი ქმრის ნათქვამში ცოლს ეჭვი შეეპარა.

— შენ, კიბის საფეხურებზე ფრთხილად ჩაბოდი, კაბლუკები არ შემოგვმტვრეს!

მერე მიხა და თავისი ქალაქი შარაბანში ჩახსდნენ და სიმღერით — „ნე განი ლაშადვი, იამშიკი!“ ქალაქისაკენ გაქროლდნენ.

**გადამწერელმა 1981 წლის 25 თებერვალში** კახეთის ერთ-ერთ სოფელში, წინათ რომ არაშენდა ერქვა და ახლა ხალხმა ვარდისუბნად გადაწოლა, თოვლით დაფენილ ასფალტზე „გოლგები“ და „ქიგულები“ მისრაშუნებდნენ. სტერეომაგნიტოფონები შუალამდე „ბონიემის“, „აბას“ და „ივერიის“ კონცერტებს გაჰქოლდნენ და მამლებს ძილს უფრთხობდნენ. თუნუქით დახურული ორსართულიანი სახლის მკაფონის ხით გაწყობილ ინტერიერში დადგმულ საგარძღებში მართა და მიხა უხმოდ ჩაძირულიყვნენ. მართა „ნედელიას“ კითხულობდა, მიხა კიდეც — „ფუტბოლ-პოქისა“. ქმარი დროდრო მყუდროებას არღვევდა:

— ქალბატონო მარიამ, მომისმინეთ! აი, რას ამბობს გოეთე: „სულგრძელი იყავ, ადამიანო, ქველი და კარგი, რამეთუ მხოლოდ ეს გამოგარჩევს ყველა არსებას შორის, რასაც მოკვდავნი ვიცნობთ!“

— ჩემო მიხეილ, გოეთე კარგია, გეთანხმები, ოღონდ ახლა შენ მომისმინე: გეთაყვა, რაღიატორები გასინჯე? თბილია?

— არა! — შევახედ უბასუხა მიხამ.

— ბოლოს და ბოლოს, ამდენის მოთმენა აღარ შეიძლება! გაზის სამმართველო დღენიადავ გაზს გვჭირდება, მაგრამ სად არის?! როგორ, სოფელში გაზი არ გვჭირდება?! მართოქალაქს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი გაზი?! — არ ცხრებოდა მარიამი (ყოფილი მართა).

— მეტი რა გზა გვაქვს, ჩვენს უმცროს ვაჟიშვილს დიზელის საწვავი უნდა მოვატანინოთ, ტყუილად არის კოლმეურნეობის თავმჯდომარე?! — მიხეილმა გამოსავალი იპოვა.

— არა, შენ გინდა, ჩვენი ვაჟიშვილი იმ რაღაც არასწორი გზით მოტანილი სალიარკის გამოთავმჯდომარეობიდან გადაირჩიონ?

— აბა, რით გავათბო? ტყეც რომ აღარაგვაქვს?! შიგ ვენახები შეიჭრენ! — მიხეილმა თავის მართლება დაიწყო.

— რა დროს ტყეა, ერთი ი დუბლიონკა მომაწოდე!

ქმარმა ცოლს „დუბლიონკა“ მიაწოდა. ცოტახნის შემდეგ მიხეილმა მარიამს ჰკითხა:

— ჩათბი?

— არა! ეჰ, ყველაფერი ჩემი ბრალია, შენ არუნდა გამოგყოლოდი! ჯერ იყო, ამ 67 წლის წინ, პატარაილი მიწურში მომეყვანე, მერე უშველბელ ბინაში გამომამწყვდიე და სიცივით მკლავ! — ლამის ატირდა მარიამი.

— მარიამ, ნახე, ეს ფერადი ტელევიზორი რასაზარლად ურევს! — მიხამ ცოლს სიტყვა ბანზე აუგდო.

— ამ ტელესარტრანსლაციო სადგურებისავერაფერი გამოიგია, ნეტავი ვიოდე, ასე რატომ აკანკალებს ამ სოფლის ტელევიზორებს, პატრონი არა ჰყავთ?! — მარიამი სავარძელში აფორიაქდა.

— პატრონები რომ ჰყავთ, იმიტომ ურევენ!

— ეჰ, ჩემო მიხეილ! პატრონები ჩვენა ვართ, ყველანი, მაგრამა!..

— ქალბატონო მარიამ! ამ დარღს თავს ნუ მოვაცვლეინებთ, ახლა ფეხზე წამოდგით და ქალაქში გავემგზავროთ! ახალი საცირკო წარმოდგენა ჩამოტრანიათ, ქალს ხერხავენ და ისევ ამთელებენ! ერთს კი გთხოვ, სათუატრო ტანსაცმლის ჩაცმისას „ლუდოვიკოს“ კარადის კარი ფრთხილად გამოაღე, ვერ ვიტან მის მონოტონურ წრებინს! ამაში კი ჩვენი რაიკავშირის თავმჯდომარე ზურიაკოა დამნაშავე; ვერა და ვერ გვაღირსა მოდური ფინური ავეჯი!

— ეგენი, გენაცვალე, თითო-ოროლას ჰყიდიან შრომის გმირებზე, დანარჩენებს კი ერთმანეთში ინაწილებენ! — კომერციულ ხრიკებს უხსნიდა მარიამი.

ცოტა ხნის შემდეგ მიხეილმა მარიამს ჰკითხა:

— მზადა ხარ?

— კი.

— აბა, წავედით!

— ბენზინი თუ გაქვს?

— ქალაქამდე გვეყოფა!

— გენაცვალე, ამ განაპირა რაიონებს რით ვერ აღირსეს ბენზო-კალონკები! — ამოიოხრა მარიამმა.

— კარგი, ქალო! როცა იქნება, ჩვენი დროც მოვა!

სუპერთასიც არის წინა!... დაცადოს!... ჩვენ  
ვეროპული თასით ღვინო არ შეგვისვამს ჯერ!...  
იბადება სადღეგრძელო!... კბილი იჭერს სულს!...  
ცოტა უნდა საქართველოს — ორი ბურთი სულ!

ნანი ჯაში

მეგობრული შარტი ბ. ფირცხალაშასი







— ნუ გიკვირს, კოლეგა, სკოლიდან ასეა მიჩვეული!

## დედისერთა ფენომენი

ერთი შვილი ჰყავდათ მშობლებს, ერთადერთი შვილი — გენა. ნატვრაც ერთადერთი ჰქონდათ, რომ ექციათ ფენომენად. და დაისვენა ერთხელ მუხლზე, დაარიგეს, დაუყვავეს: მაგ ხერხითო, — ეგრე უთხრეს, — ჩვენს მტრებს მალე დავუღამებთ! დაიხსოვებოდა გენა ჩვენი, შედგენილი გემოვნებით: უნდა შეძლო ყველაფერი, რათა გახდეს ფენომენი! ჯერ ჩვენს ტან-ფეხს გადახედე, შესაშური არ გვაქვს ჯიში?! ეგ ჯიში რომ კვლავ გაგრძელდეს, საჭიროა ტანვარჯიში! ერთი! ორი! სამი! ოთხი! — გაეხვიდა ყური გენას, დაავიწყდა მეგობრები, დაავიწყდა მურიკელაც!.. და დაისვენა ისევ მუხლზე, დაარიგეს, დაუყვავეს; მაგ ხერხითო, — ეგრე უთხრეს, — მოშურნეებს დავუღამებთ. გენამ: შეცდომას არ დავუშვებთ პროფესიის შერჩევაში; მაგ ტალანტის გადაფურჩქვნა უნდა შეძლო ფერწერაშიც! დაიტვირთა გენაც მალე ფუნჯებით და მოლბერტებით!.. „გენას ხელში, გენაცვალეთ, ჩვენც არასდროს მოგებრდებით!“ ახლა, თუ გსურს, შეგაგებონ სულ ტაშით და სულ ყიუინით, ცეკვა უნდა შეისწავლო, — განზე დარჩეს სუნიშვილიც!.. ამის შემდეგ ჩვენი გენა მიაბარეს ცეკვის წრეში; თეთრი ჩოხა შეუკერეს, ექნებაო მეტი ეშხი. მერე უთხრეს: „შვილო ჩვენო, ტალანტს როგორ ჩაკლავ ისე, შენი ძალა არ უჩვენო თეთრ კლავიშებს, — შავ კლავიშებს?! დე, ბოლომდე დაიწეროს, რაც კი დარჩა დასაწერი! მოცარტი თუ ვერ გამოხვალ, არც ლისტია დასაწერი!“ პროფესორი პიანისტი მოინვიეს დიდის ამბით, მაგრამ ამით, თქვენ გგონიათ, გაუთავდათ ფიქრის ძაფი? „ყური გვიგდე! უარის თქმის არ გვაქვს ნება, ჩვენო გენა, უცხო ენა თუ არ იცი, ვერ იქცევი ფენომენად! ენა უნდა გაუტოლდეს პოეზიის შუქთა ფენას; რა სჯობია იტალიურს, რაფაელის უკვდავ ენას?!“ და იმ დღიდან გენას სახლში პურს დაარქვეს საჭმელინო, ხოლო არჩილს — გენას მამას — ეძახიან მარჩელინოს! იმნაირად გადატვირთეს, იმნაირად გადალალეს, დედისერთა კოხტა ბიჭი სულ მთლად გამოათავყვანეს!.. მიზეზი თუ აპოვინე, რა გამოლევს მწარე ენას?! — ფენომენის ნაცვლად გენას ჰქვია გენა-ფენომენა!

ს ი ს ო უ ლ ი

პ ი ა - ბ ი ა

ეროვნული  
პატივით

## პირველი გაკვეთილი

— ბავშვებო! ვინც სკოლაში გასწავლით, მასწავლებელია, ვინც სკოლის გარეთ — რეპეტიტორი! ესე იგი, მე რეპეტიტორი ვარ! აბა, გაიხსენეთ, როგორ მიმართავდით მასწავლებელს?

— პატივცემულო მასწავლებელო!

— უფრო ზუსტად!

— პატ. მასწ!

— მე როგორ უნდა მომმართოთ?

— პატივცემულო რეპეტიტორო!

— უფრო ზუსტად?

— პატ. რეპ!

— კიდევ უფრო ზუსტად?

— რეპ!

— სწორია! მაშ, ასე! ვიწვებთ პირველ გაკვეთილს! დღეს ჩვენ გავარკვევთ საათების, ასე ვთქვათ, ანაზღაურების საკითხს. როგორც ცნობილია, ჰუმანიტარული საგნების სწავლების ფასი ერთგვარად ამალდა იმასთან დაკავშირებით, რომ... მაპატიეთ, ზარია! ალბათ, ის ბავშვი მოვიდა, იმან რომ დამირეკა! მაშ, ასე, ვაგრძელებთ გაკვეთილს! იმას მოგახსენებდით, საგნის სწავლების ფასი, ასე ვთქვათ, პონორარი, დიახ! დიახ! პონორარი!... მაპატიეთ, ზარია!..

(პატ. რეპი გადის. შემოდის ოც-დამეცხრე აბიტურიენტი. პირველი გაკვეთილი გრძელდება).

## მეორე გაკვეთილი

— ბავშვებო!

— გისმენთ, პატ. რეპ!

— როგორც პირველ გაკვეთილზე ვისაუბრეთ, მეორე გაკვეთილზე თქვენ უნდა მოგეტანათ, ასე ვთქვათ, ავანსის სახით, მთელი ღირებულების ორი მესამედი, ანუ თანხის, ასე ვთქვათ!.. მაპატიეთ, ზარია! ალბათ, ის ბავშვი მოვიდა, იმან რომ დამირეკა!

(პატ. რეპი გადის. შემოდის ოც-დამეცხრე აბიტურიენტი. გაკვეთილი გრძელდება).





# ჩვენი საქართველო

ქართული  
განათლება



— ესაა აბიტურიენტებს ამზადებს?  
— არა, რეპეტიტორებს!

კი, კი ვიცი

ქართველებმა!

ზოგჯერ ქეიფს გადაყოლა,  
საქმის განზე გადადება,  
მხარეთქობზე წამოწოლა,  
ყანნით ხელში ქადაგება —  
კი, კი ვიცით ქართველებმა!

ზოგჯერ მეტი თავის ქება,  
ხან უაზროდ გაბრაზება,  
უფრო მკვდრების დაფასება  
და ცოცხლების „გაბაზრება“ —  
კი, კი ვიცით ქართველებმა!

მაგრამ დარდის გამთელებაც,  
გახელება, გადელეებაც  
და უეცრად გათენებაც —  
ესაც ვიცით ქართველებმა!

ნოდარ ჯალაღონია

18 წლის ისე გავხდი, არავითარი კონტაქტი არ მქონია სხვა ეროვნების ადამიანებთან (ჩემს სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ).  
ჩარში რომ წავდი, პირველად ვნახე ცოცხალი უზბეკი, თათარი, მორღველი... ვნახე კი არა, მთელი ორი წელიწადი ერთად ვცვეთდი კირ-ზის ჩექმებს, ხაყის გიმნასტურებსა და შალის მაზარებს (თუმცა, რაც უნდა მოინდომო, რა წელიწადში სამ წყვილ ჩექმაზე მეტს ვერ გაც-ვეთ!)

გაფურსადიყვით, თურქმენ ბიჭს, ჩემს გვერ-ლით ეძინა: ასე გაანაწილა საწოლები ზემდგომ!

არ დაგიმალავთ და, ცოტა მეშინოდა კიდეც ამ ბიჭისა. ღამ-ღამობით რაღაცას ყვიროდა თავის ენაზე, ზოგჯერ მღეროდა კიდეც. მეთაუ-რები ამას მანცდამანც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. რა ენაღვლეობდათ, თვითონ სახლე-ში ეძინათ არხინად!

ჩემი არ იყო, გაფურს რუსული უჭირდა და, თუ რაიმეს არ შეეკითხებოდი, სულ ერთთავად დუმდა.

ერთ საღამოს (თუკი ღამის თერთმეტ საათს შეიძლება საღამო უწოდო), ვწევარ ჩემთვის მთელი ღლის ნაჭადარი და ჩემს საფიქრალს ვფიქრობ. ვხედავ, ჩემი საწოლის კიდეზე გა-ფურსი ჩამოჯდა და ჩურჩულთი შეეკითხება (და-წოლის შემდეგ საუბარი და მისვლა-მოსვლა, წესდების თანახმად, აკრძალულია) საქართვე-ლოში თურქმენები თუ ცხოვრობენ?

— არა-მეთქი, — უთხარი (რა ეშმაკმა მათქ-მევინა ასეთი ტყუილი?)

შევატყუე, ეწეინა.

— მეო, — მითხრა, — თქვენი ისტორია კარ-გად ვიცო. ჭელაღედინი, რომელმაც საქარ-თველო ააზრია, ჩემი წინაპარი იყო.

— მერე ამით რა გინდა მითხრა-მეთქი? — ვკითხე.

სადიუოვი დიდხანს დუმდა, მერე ტუჩები უფროან მომიტანა და თავისი დამტკრებული რუ-სულით ძალიან წყნარად მითხრა:

— ფრსოთი, დრუა!.. მე შენთან მეგობრობა მინდა!

რა იყო აქ სატირალი და გულისხმაჩუყებელი, მაგრამ ცრემლი მაინც ვერ შევიკავე. თუმცა არც კი ვიცოდი, მართლა ჭელაღედინის შთამო-მავალი იყო თუ არა ეს აწოწილი და რა ნიშ-ნით ჰგავდა იგი საქართველოს ამოზრებელს!

თვალწინ დამიდგა მთელი ჩვენი ისტორია, ის ისტორია, რაც ვიცოდი და გაგონილი მქონდა.

და მე დიდსულვონად ვაპატიე ჭელაღედინის „შთამომავალს“ შეიდი საუკუნის წინანდელი და-ნაშაული.

ჰოდა, მაშინ გაისმა ბრძანება — „ასეულო, აღექი“!

უკვე 12 საათი გამხდარიყო. ჩვენს გარდა, ყველას ეძინა, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და ყველანი, მძინარენიც და მღვიძარენიც, წამოვ-ცვივდით.

აი, რა ფასად დაუჭადა მთელ ასეულს ჩემი და ჭელაღედინის შთამომავლის შერიგება.

მეორე დღით, მეცა და სადიუოვიც, სამზა-რეულოში გაგვგზავნეს კარტოფილის საფცქვენ-ლად და ქვაბების სახეზე.

და ჩვენ, რა თქმა უნდა, როგორც ოცეულის ყველა ჭარისკაცი, დავმობოდი.

საოცარი რამ გახლავთ ჩარი. იგი, უპირველეს ყოვლისა, კაცური კაცობის სკოლაა. და ვინც ეს სკოლა წარმატებით დაამთავრა, ბოლომდე თავისი მრწამსის ერთგული რჩება.

მეგობრობა და მშობა დღეს ყველგან შეიძ-ლება გამოავლინო, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ საქმეში.

...მექანიკური სამჭროში დაზინებული ტვი-ფრი მოიტანეს. რაღა დროს ეგ იყო, დაღუც-ვილებმა დრო არ იციან?! სამუშაო დღე დამ-თავრდა. რა, ხვალ ვერ მოასწრებდნენ?! თანაც გიორგი მელქონიანი, რომელსაც ეს საქმე უნდა გაეკეთებინა, მედპუნქტში იყო, ვლადიმერ ლ-ზარენკოს თავისი საქმე მქონდა. დახამთავრებე-ლი. ანზორ ბარამიძე კი უკვე ჩაცმული და და-ბანილ-დაფარცხნილი სამჭროს კარებთან იდგა.

ტვიფრი სასწრაფოდ უნდა შეეკეთებინათ.

ანზორმა ტელეფონის ყურმილი აიღო, მედ-პუნქტში უნდოდა დაერეკა, აიღო და ისევ და-დო. მერე ტანსაცმელი გამოიცვალა და საქმეს შეუდგა.

ეს ძალიან რიგითი ფაქტია და, შეიძლება, არც არაფერ დიდ რამეს მეტყველებს. რა მონდა მერე, უბრალოდ, კაცი კაცს დაეხმარა, მაგრამ თუ სხვა თვლით შეხედავთ ამ ფაქტს და გაითვალისწინებთ იმას, რომ ანზორ ბარამიძე და გიორგი მელქონიანი — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ შეიქმნები — ერთმანეთს ეკიბრებიან, უფროდ დაინახავთ კა-ცური კაცის კეთილ ბუნებას, ამ ფაქტშია თავ-მოყრილი ყველა ის საუკეთესო თვისება, რაც მომადლებული აქვს დღევანდელ მუშას.

სხვის მაგივრად ტვიფრის შეკეთება რა პატ-რიოტიზმი და რა ინტერნაციონალიზმიო?! — მეს-მის, ეგერეთ წოდებული, ურბანური ცინი-კური ხმა.

თვალწინ მიდგას ამ ვაჟბატონის სახე, მოკუტუ-ლი თვალები და სქელი, ძალიან სქელი შუბლი, იმაზე უფრო სქელი, ვიდრე თქვენ წარმოიდ-გენთ.

ამ სქელშუბლა კაცს სამშობლო „უწყვარს“, რომელი სამშობლო? ცხადია, საქართველო. მაგ-რამ როგორი საქართველო? — მხოლოდ ქართ-ველების საქართველო!

თუმცა, ძალიან კარგად იცის მან, რომ ასეთი საქართველო არც ახლა არის და არც ოდესმე ყოფილა! ქართველი სალხი მთელი თავისი არსე-ბობის მანძილზე ებრძოდა არაქრისტიან მომხ-დურს. ამავე დროს, მართლმადიდებელი ეკლეს-სიების გვერდით, შენდებოდა მჭირთები და სინაგოგები. ეს კარგად იცის ახალი მოდის პატრიოტმა და მაინც იჭაბება, მე მხოლოდ ქართველების საქართველო მწამს!

კი, ბატონო, იწამე, მაგრამ ჩირქს ნუ სცნებ ჩვენი წინაპრების ნათელ სხოვნას! ნაღდ ქართ-ველს ყველა ნაღდი კაცი უყვარდა. იგი სარწმუ-ნოებისა და სადაურობის საწყაოთი არ ზომავე-და ადამიანის ღირსებას!

საიათნოვა სამ ენაზე წერდა და მღეროდა. იგი სამი კაცი იყო, ამასთან სამი ეროვნების, იგი გახლდათ სომეხიც, ქართველიც და აზერ-ბაიჯანელიც. საიათნოვა დაიღუპა, დაიღუპა სა-ქართველოსათვის, თბილისისათვის ბრძოლაში!

როგორც ყველა ქალაქს, უბანს, ქუჩას, ისე ისტორიასაც ჰყავს ნაგვის მანქანა, რომელიც სისტემატურად ეწილება თავის ტვირთს ისტო-რიის მიღმა. ნუ ქეჟავთ მას, იქ ოქროს ვერ იშო-ვით! ოქრო აქ არის, თქვენს წინ!

ვეკითხები იმ სქელშუბლა „პატრიოტს“, მხო-ლოდ ქართველები ააშენებდნენ ენგურჰესს? რომ არ ყოფილიყვნენ ვალენტინა პისარევა, ვლადი-მერ მოსესოვი, ნინო პანკოვა, ჩვენი საქართვე-ლო რვაჯერ გაიმარჯვებდა საკავშირო სოცია-ლისტურ შეჯიბრებაში?

ხომ გაგიხარდა შენი რესპუბლიკის გამარჯ-ვება?

თუ გაგიხარდა, მაშინ წყალს ნუ გაატან იმ დიდ წვილის, რაც სომხებმა, რუსებმა, აფხაზე-ბმა, ოსებმა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნების შეიღებმა შეიტანეს ამ დიდ საქმეში!

როცა ამ საკითხზე ვფიქრობ, თავში ერთი აზრი მიტრიალებს. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვერ დავმალე: რა იქნებოდა, რომ დაწესებულიყო საკავშირო შეჯიბრება საუკეთესო ინტერნაციო-ნალური რესპუბლიკის გამოსავლიანობაზე?

მე ასე მგონია, საქართველო აქაც გარდაუვა-ლად მიიღებდა გარდამავალ დროსას!

ივარი ტაბიძე





**ღმერთმა** უწყის, როდის თქვა ქართველმა კაცმა: ერთი შვილი — ლობეს ჩხირი! ახლა ერთი შვილი მარტო „ლობის ჩხირი“ რომ იყოს, რა გეჭირის! ამას წინათ ერთი დაუშთავრებული დღიური ვიპოვე. ჰოდა, ვაქვეყნებ „ლობეს ჩხირის“ პასუხად, თანაც — ადრესატის საპოვნელად.

„უდემამოდ ქვეყნად არავინ გაჩენილა. მეც მყავს დედ-მამა. მყავს აგრეთვე ორი ბებია, ორი ბაბუა, ერთი შინაბერა მამიდა, ერთიც ბერბიჭა ბიძა — დედის ძმა. ეს ორი ოჯახი ვალმა-ვაშლითა სახლობენ, შუა ჩაუდის მთიანეთს. მთაზეა დასახლებული ორჯამაჯამა ოჯახი. მთაზეა დასახლებული ორჯამაჯამა ოჯახი. მთაზეა დასახლებული ორჯამაჯამა ოჯახი.“

[illegible][illegible]

— ბიძია, პისტოლეტი მიყიდე!..  
— პისტოლეტების მეტი რა გყრია, ბიჭო?!  
— სათამაშო პისტოლეტი რა ჭირად მინდა?! ნამდვილი მო-  
მიტანე!  
— აჰ, რა დროს შენი ნამდვილი პისტოლეტია?! — იუარა  
ბერბიჭა ბიძამ.

— ერთადერთი დიდი ერთადერთი შილი ერთადერთ ასე პატარა სახეობა გიბოეს და უარს უკებებო! ბავშვი არ გამოჩნდება, თორემ! ჩემს შილიშიშვილს რომ რამე მოვიუდეს ნერვოლოზობი, არ გავტოვებულა არავის! დახს — გაუწყნარ ბიძაჩემს ჩემი საყვარელი დედალულის შიბაჲ.

ბაბაჲ დედალულის ბებიჲ ნაშეშე!

— ხედავ რა მოხდა, რასაც გიბოეს, თორემ! ეს ბილი რომ გადმო გავაყვცეს, არ ვიცი, რას ვიპოხ — მერე მე მომიბრუნდა: — გყიფიდი, გენაცვალე, გყიფიდი, შენ ოღონდ ნუ ინერვიულებ!

— მეიდა ზიძის პისტოლეტი, სწორედ თვითონ მასწავლა. ახლობლად კარისა და ბაღლის სახსენებელი მოვსებთ. ცოცხად გამხლეული ჯოხია: კაციარ მოგვიკლავს, მაგრამ თუ ვინმე გამბარბუბოს... იცოდეს ყველამ, ტყვიას ნატყვიარში ვაჯერს!

— მაშა, ველოსიპედი მინდა!

— სამი გადააბდე, მეოთხე ეგერ გიღვას!

— ის სამი ველოსიპედი სამოთხეა იყო, მეოთხეც სამოთხეა!

— ბაბა, ორთქვალა შენთვის ჯერ ადრეა!  
— დერეკა, ხომ?! მივიღებო გალამა!  
— რას გვიშვებო, ძმარ?! — ნასტორჩილა მაძაჩებს შინა-  
ბუნა მაშიდაჩეშმა, — არა გრცხევირა? ბავშვს ველოსიპედის  
ყიდვად ჭებნები უარს? დღესვე მოუტევი! იქ არ გაგვეძვეს.  
არა გამოიარებო სახლი! — და მაშინდელი მი შემომიბრუნდა:

გეგმინლა

၈၁

3366?

დამშვიდდი, შემოგველე, ყველაფერი ისე იქნება, შენს გულს  
რომ გაეხარდება!

მიყიდეს მოსიკლებული ველოსიპედი. მალე მივაძინებრი, თვითონაც ბენზე გადავრჩი. დამახვიეს პროფესორები და, როგორც კი მოძვდობინი, დედულესი ბაბუამ ნამჩურჩულა: — შინ დაიბრ ვიდოიან არაღა წამოხედი მა!

— ბევრ ადამიანს გეძალად ნამოყვები ძე  
— ჯერ ვერა! — ვიუარე ვაგებდ  
— მანქანას გყიდი. ბიჭო, ციხეცაღ, ფიატს!  
— „ფიატს“ რა ჭირად მინდა? აი, თუ შეად მზნინავ ბო-  
ლო მარცხ, „ვოლგას“ მომირიადებ, დაფიქრდები!  
— „ვოლგა“, თანაც ბოლო მარკის? — თავი მოიფხანა დე-  
დუღეთის ბაბუამ. — ძნელია, ძნელზე ძნელი.. დამჯერდი ჯერ  
„ფიატს“, ბიჭო!

[illegible]

დამსხვრეული ველოსიპედიდან შავად მბზინავ „ვოლგაში“ გადავჯექი. მანქანის მართვის უფლებაც მალე ჩამიდეს ჯიბეში. მართალია, საჭეს ძლივს ვწვდებოდი, მაგრამ... მაინც მეგემრიელებოდა.

ამ „ეკოლოგით კარგა ხანს გელმა-გაშოდმა დგარალუბდა ჩემი სურვილები. მამულეთმა ქორვაჭრებთან „დეუბლიონკა“ მიყიდა-მამასისხლად, დედულეთმა — ჯინსებით, მამულეთმა ტურისტული საცხურით ევროპა მომძატარა, დედულეთმა, მძახელე-ბის ჯიბრით, ჯერ აფრიკა დამიღო ხელისგულზე, მერე იაპონი-

[illegible]

— ახლა თვითმფრინავი მინდა... საკუთრად!  
— გესმით?! — თქვა დედაჩემმა. — ავტომანქანა მოწყინდა და თვითმფრინავი მოესურვებოდა საკუთრად! რა ვქნათ, პა?

— იმის „ეკლავს“ აღარ სჯერდება, თვითმფრინავი მოუ-  
და ბოქსი ივ, რა კარგია! — შეიძლება მაშამიშმა, — ვერ მომდგომნი  
მანაც ენაბრეს თვითმფრინავი, თანაც საკუთრად... საიდან გა-  
ეუჩინო თვითმფრინავი და თანაც საკუთრად? საკუთარ თვით-  
მფრინავს ხომ აეროდრომიც საკუთარი უნდა? შეიშალა სამყა-  
რი.

— ამერიკაში, იცით, რამდენს ჰყავს თვითმფრინავი საკუთრად? პოდა, მე ვითომ რატომ არ უნდა მყავდეს! — ვთქვი ბეჭედადამულად.

— ვინ მომყიდის მე თვითმფრინავს საკუთრად?! მოვიპარო?! — ხელები გაასაფსავა მამაჩემმა.

— ეგ მე არ მეკითხება, მოგყიდიან თუ მოიპარავ!.. არ მომიყვან და... დღესვე გავუტევე გაღმა, შორს კი არა მყავს დედულეთი?!

— მოუყვანე, ბიჭო, ის რაღაცა თვითმფრინავია, ასეთი უბრალო რამისთვის ანერგიულებ შვილს? — გაუწყრა თავის ვაჟს ბებიაჩემი, მე კი მომეალერსა: — ყველა შენი ჭირი ბებიაშენს! მოგიყვანს თვითმფრინავს, უსიკვდილოდ მოგიყვანს, შენ იღობ დანქნარდო!

— ესეც თუ შევესრულებთ, ძალე იმაზე ატეხავს ნერვიულ  
ობას, ციდან მზე რომ აცხუნებს ხოლმე, რატომ ღრუბლებს არ  
მიიფარებთ, მე რომ ზაფხულში მუდამ ჩრდილში ვიაროო! —  
გაჯიუტდა მამაჩემი.

— მიდის, მიდის! — ცუდი სიზმრის მნახველივით ამოიბ ღაჟლა ბაბუამ. — თანაც, შეხედეთ, რა განერვიულებული მი დის! ასე ძარღვებაშლილი ადამიანს გზაზე რა უბედურება აღარ ემართება! ჩემს შვილიშვილს რომ რამე მოუვიდეს, ყველას დე დაბრუნდინად ამოგოჯოვავით..

...და მეც ახლ უკვე ჩემი ფრთაბატულა თვითმფრინვა  
მყავდა, ჩემი ახალი ანგელოზი, საკუთარი აეროდრომიც მალე  
გამეკეთეს. იმ საკუთრად ჩემი ანგელოზი საკუთრად ჩემი აუ-  
რდრომიმდენ ზღვისპირეთში გაფრინდა, თვალს წყალს დაჯა-  
ღვინებდ-მეთქი მამასამე, ოქროსფერ ქვიშაში გაგრიწე-  
წესავსით მიშველ, მზით ტანგარუჯულ ანგელოზებს გადავუს-  
რებ-გამდგომეფრენ და, რამელიც მიმწინებდა, იმის თვითმფ-  
რინვაფრინებდ-მეთქი. ასე უარდა, როცა საკუთარი გვერდით

ესეც მალე მომწყინდა, ცხრა თვის შემდეგ ახალი სურვილი დაემატა. ჰოდა, დედულთეთმა გემი მიყიდა საკუთრად, დიდ ზღვის დიდი გემი, ზედ თეთრმურინავი თავისუფლად რომ ახერხებს დაჯდომასაც და აფრენასაც.

ახლა განუყოფლად ჩემია მთლიანად უკიდევანო ზღვა, ხმელეთი და ცა... თუმცა, გულახდილად რომ ზეტყვა, ცა ჯერჯეროებით მთლად ჩემი არაა. ამიტომაც ჯერი კოსმოსურ ხომალდზე მიდგა...



მასობრივი ფაქტობრივად, ვიცი, მაღაღლითი რუხში უკვე ქრისთს ჩემს ვადამრებას, ესე იგი, დედუღლითისთვის ჩემი თავის წარმეგება და, იმედია, არ დაიშურებენ არაფერს, მე რო კოსმონავტი გაზმადონ თანაც, საკუთრად ვიქნები კოსმონავტი ზომადის მოზიარე არ მეყოლებად ისლა მაკალი, ჩემს ამბავს სხვა ჩაეროსი მაიამუციერმა კარად მიმეფოსი ორივე რუხა — დედუღლითი და მამუღლითი და ჩემს ნება-სურვილს წინ რ აღუდგება?"

აქ წყდება დღიური, ყველაზე საინტერესო ადგილას, ბუნებრივად.


ისიც ძალიან საინტერესოა, ეს დღიური პატრონს ცაში გა-  
ფრხილებს დეკარტა, თუ... თუ, უფროდ, ქუჩაში? მოახერხებ  
ქმისთვის ხომალდით გაფრინა... ძალია ადრე გყო და მ-  
ნაზევე დარჩა? თუ გაფრინდა, დაიღუპა თუ გადარჩა? იქნე-  
ნებოდა იცის, დაუყოვნებლივ შეგავაცუბინოს, რისთვისაც წინა-  
სწარმ მოახსენებდი მაღლობში?

კეთილშობილური საქმიანობა

555-3 საშუალო სკოლის მეხუთე კლასის ბუ-  
თოსანმა მოსწავლემ მარიამ შაურაშვილმა (დამკრებელ-  
ი — ქსენია კაბაძე) ჭეჭმა იპოვა ქალის იაპონური  
ბელანთა, რომელშიც აღმოჩნდა ხუთი ოქრის ბეჭედი,  
ბუთის მანეთი, ფრანგული სუნამო „კლიმა“, იტალიური  
ფრაიდი სათავლე და სხვა ნივთები.

ყვითლშობილმა ბავშვმა ხელჩანთა, ფული და ძვირ-  
ფასი ნივთები უკონკრეტო ჩააბარა... თავის შშობლებს!

இருபது காதல்குறியை







— არ ესროლო, ძია! ეს ერთი გველია დარჩა მთელ ტყეში!..

## აფორიზმები

● პატიოსნებას იპოვის პატიოსნების მნატ-რელი და გაბრწყინდება საქვეყნოდ დიდი მომავლის ნათელი!

● სიმართლე ზოგ-ზოგ ადგილას ბოროტი გუ-ნით გადახვს! — მუქი სიმდიდრის მფლობელნი იგ-ბენ ძვირფას სახაბლეთ!

● ბოროტი მალე მოკდება, ფეხზე ვეღარ დადგება! — უკანონო გზით ნაშოვნია, ხალხის სიმი-დრე გახდება!

● ყოველდღე უნდა ვაშენოთ პატიოსნება, დი-დება! — დღე ხვალისდელი, მომავლის, უფრო ბრწყინ-ვალე იქნება!

● ცხოვრება მუდამ წინ მიდის, უნდა ეძებო ახალი სიძნელეებთან კიბილში არა დაჰყოფო ფარ-ხალი!

● სულ უნდა იყო უცვლელი პატიოსნებით მი-დარი! — სხვა უცვლელი სიმიდრე არ არის არავითარი!

● პატიოსნება, სიმართლე ძვირფასია, ყველამ ენდოს! წინააღმდეგ ვინც გამოვა, მოიჭრას და მოიკე-თოს!

ალექსანდრე აპიტბა,

პარტიის უბუცესი წევრი, პეტერანა  
კოლმეურნე-პენსიონერი.  
(გალის რაიონი)

ნ.ბ. ბიბლორ კაიანისა (უნგრეთი)



პატარა ბრუტუსი

# სუმრობად თქმული

ნარკვეული  
ბიბლიოთეკა

**სუმრობა** ფრიად სერიოზული, საპატიო და სასიამოვნო საქმე, დიდზე დიდი ძალა და მოვლენაა ჩვენი ყო-ველდღიურ მუშაობაში, საზოგადოებ-რივ ცხოვრებასა და ურთიერთობაში. ჩვენი კლასიკოსი მწერლები და გამო-ჩენილი საზოგადო მოღვაწენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფრთიან სიგვას, სხარვ, მახვილგონივრულ ნაკვეთს და იყენებდნენ მათ ლიტერა-ტურული ბრძოლების ჟამს.

როგორც ბევრისთვის ცნობილია, ჩვე-ნი საუკუნის ოცდაათიან წლებში პოე-ტები წერდნენ ეპიგრამებსა და იუმო-რისტულ, სახუმარო ლექსებს, ეგრეთ წოდებულ ფუნაგორიებს. სიგვა ფუ-ნაგორია პოეტმა კოლაუ ნადირა-ძემ შემოიღო და მასაც კარგა გვა-რიანი ეპიგრამები ჰქონდა. განსა-კუთრებით აქვივობდნენ ახალგაზრდა პოეტები: ლადო ასათიანი და მისი გოლ-მეგობრები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მახვილსიგვაო-ბის რამდენიმე ნიმუშს — როგორც ლექსად, ისე — პროზით დაწერილს. გავიცინოთ და ვიყოთ მხიარულნი!

**ჩვენი** სახელოვანი მწერალი და კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენგი ერთხელ გურიაში ლიტერატურულ შეკრებაზე მოხსე-ნებას აკეთებდა. გურულებს ძალიან მოეწო-ნათ მისი სიგვა. სულ ზეპირად და შეუც-დომლად ჩამოთვალა ლექსთა მრავალი ტაე-პი, მთელი ფრაზები და წინადადებები სხვა-დასხვა წიგნებიდან. ერთმა დამსწრეთაგანმა მეორეს უთხრა: გადამრევს აი კაცი! ასეთი არაფერი მინახავს! მაგ ბესოს მთელი მოხსე-ნება ერთ პაწა ქაღალდზე დუწწერია, მერე გუდუყუყაბავს და ახლა აგერ გვეუბნებაო!

**სუფრაზე** გორგი ნადრევად შემოი-განეს. მოქეიფენი შეცბუნდნენ, რაღა გვეშ-ველება, მალე უნდა დავიშალოთო. თამადამ, **კარლო კალაძემ**, გაამხნევა ისინი: არ შეშინ-დეთ, მართალია სუფრამ გორგმანი დაიწყო, მაგრამ ნუ დაიშლებით, ქეიფი გრძელდებაო!

**პრისულ** პოეტი და დრამატურგი **იონა ვაკელი** რუსთაველის გამზირზე დაეცა და მუხლი დაიზინა. ლადო ასათიანმა გამო-თქვა:

როცა იონა ქვაზე დაეცა,  
იონას დარჩა მუხლი გაშლილი.  
ნეტავ იონა რავომ დაეცა,  
რად არ დაეცა ბუნნიკაშვილი?

ყველაზე მეტად აწ განსვენებული **გუგული ბუნნიკაშვილი** იცინოდა.

**ბესარიონ** ჟღენგი დაუღალავი მოკა-მათე იყო. ამის გამოა თქმული:

ბესო მიუშვი ნებასა,  
დაიწყებს მოხსენებასა,  
ხოლო ვინაც კი გაბედავს  
მის კითხვა-განქიქებასა, —  
ახი იქნება იმაზე,  
თვით შეეყრება სნებას!

**პრისი** პოეტის ლექსთა გამო ასეთი ეპიგრამა შეითხზა:

სამგორის ველი ვრცელია,  
ვერ გადაწვდება თვალა!  
სამგორის სარწყავად ეყოფა  
მისი ლექსების წყალა!

**ან** განსვენებულმა არლი თაყაი-შვილმა ერთი კრიტიკოსი ასე „შეამკო“:

კამათელს ჰგავს მისი სიგვა:  
იქ — შაშია, აქ — იაქე...  
საწყალ პოეტს აქ კი აქებს,  
მაგრამ იქ კი აქ იაქებს.

**ავადყოფი** შალვა დადიანი ინახულებს და მოიკითხეს მწერლებმა. შალვამ თქვა: ეპ, ჩემო კარგებო, ნუ გეშინიათ, მალე ერთ-მანეთს საიქიოში შევხვდებითო!

— როგორ გეკადრებათ, ბავრონო შალვა, რა დროს თქვენი საიქიოაო? — შესძახა ერთ-მა პოეტმა.

— არა, ყმაწვილო, მე გითხარით, რესტო-რან „საიქიოში“ შევხვდებით-მეთქი!  
იყო ერთი რესტორანი ვაკეში, მას „საი-ქიო“ ერქვა.

**პოეტი** დავით გაჩეჩილაძე კარგი მთარ-გმნელი იყო. როცა ჯამბულის ლექსთა თარგ-მნას შეუღდა, გამოუთქვას:

რუსულად დასტამბულს  
მე ვთარგმნი ჯამბულის,  
ვაგროვებ ჯამ ფულს,  
და ამით ვჭამ პურს!..

**თბილისის** ესტუმრა მოსკოვში მცხო-ვრები ერთი ქართველი მწერალი, მივიდა „სახელგამის“ ღირეჟორთან და უთხრა: ახ-ლა მე ბევრი წიგნი მაქვს დაწერილი. მინდა, გამოცე. მომეცით კარგი პრინციპი და ურთიერთობისათვის სათანადო აგმოსფეროც მჭირდებაო!

ღირეჟორმა ბარონ ბიბინიშვილმა მიუგო: პრინციპის რა მოგახსენოთ, ძალზე ქესტად ვართ!.. რაც შეეხება აგმოსფეროს, ა, ბავო-ნო, გაბრძნობით აგერ რუსთაველზე და ისუ-ნთქეთ, რამდენიც გეხებოთო!

**პრისი** წვეულებაში ბესარიონ ჟღენგი თამადად დასახელეს. ბესომ იუარა: ერთხელ მაინც მაჭამეთ პური უშრომლად, გაურჯე-ლად და სიგვის უთქმელადო!..

**დრამატურგ** გენო ქელბაქიანის ერთი პიესის მე-4 მოქმედებაში მოქმედი პირი **გალაკტიონის** ლექსს წარმოთქვამდა. პიესა აღარ დაიდგა.

**გალაკტიონი** შეხვდა გენოს და ჰკითხა:

— როგორ არის იმ ჩვენი პიესის საქმე?

— რაგომდაც აღარ დგამენ! — მოწყენით უპასუხა გენომ.

— რა მოხდებოდა ვითომ, მარგო ის მეო-თხე მოქმედება რომ დაედგათ? — ჩაიცინა გალაკტიონმა.

**მწერალთა** კავშირის გამგეობის პლენუმზე ბესარიონ ჟღენგი მოხსენებას აკე-თებდა. შიგადაშიგ, ჩვეულებისამებრ, კითხუ-ლობდა მწერალთა სიას, თუ ვინ რა დაწერა, ან რა გააკეთა. ჩამოთვლიდა მავან და მავან პოეტებს და ბოლოს მიაყოლებდა: „და სხვა“, შემდეგ დასახელებდა პრიზიერებს, დრა-მატურგებს, კრიტიკოსებს და კვლავ ისმოდა: „და სხვა“, „და სხვა“.

ერთმა გულნატკენმა მწერალმა რეზილია ესროლა: რა ამბავია, ბესო, ჩემზე რომ სულ არაფერს ამბობ და ყოველთვის იმ „და სხვა-ში“ გეულისსმობ?!


ბესომ მიაძახა: დამშვიდდით, ამხანაგო! თქვენ არც იმ „და სხვაში“ გეულისსმობთო!

ნიკა აპიაშვილი





უსიტყვოდ



უსიტყვოდ




უსიტყვოდ



უსიტყვოდ








ა რ ა ნ ი ჯ ა — სოფლის სახელია. სოფელი  
ციცაბოზე მდებარეობს და, მელექის სიტყვით,  
კატასაც უჭირს იქ საიარული.  
ნ ა რ ო უ ლ ა — ადგილის სახელია.

დალამდა, ბინდი დაეცა,  
ჩოხან ლექსობას შეეჭა.  
ცხვარს მგელი გამაერიო,  
ვაკი გულადმა დაეცა;



შ ი შ ი ბ ე ლ ა — მ შ ი შ ა რ ა .

იღბალი აქვს ზოყანასა, —  
 ცოლ მოპყვარეს კოსტანასა, —  
 ჟცოლოზობავ ერჩივნა  
 შავის დათვის მოყვანასა!



— სუ თქვენ სოფელში დავდივარ,  
რეის მისარშავთ ხინკალსა.  
— რაით მოეხარშოთ სიწყლებმა,  
გვეჭრეინებ წიწკარსა!  
— მაშ ის რა იყო, პეტრეო,  
ნათარს რა მოჰყვეო ხისასა?  
— როცა შენ წახვალ, შოლვაო,  
მალვა-პარვითა ვზიდავთ!

წიწკარი — წკირი, წვრილი ტოტი.

— ვერ გაიგია, მირონო,  
მე რომ შენ წისქვილს მეყარა?  
— გავიგე, მირონ გენაცვლოს,  
როგორ დაგიფეო ნეტარა?  
— შენ ძაღლი შაპარულიყო,  
ალატში ფქვილი ეჭამა.  
ნეტავი იქვე მომესწრო,  
იმ ძაღლის ჯაგრი მეყარა!  
— ნეტავი ტყევი გაგეძრო,  
ფქვილი იმით ამოგიტანა!

— მდიდარი ბუთულია ვარ,  
ვბუზუნებ, როგორც ხარია!  
— კაცს, თავის თავის მქებარსა,  
მეხი კი დავაყარია!

ბუთულავ, შენისთანასა  
ცოცხალს ვაჯობნებ მკვდარია!

დუშეთის სახინკლესია  
შამოველ შარახველი.  
არ ვარგებულხარ, ხინკალო,  
შაგირცხვა შამამხვეველი!

შ ა რ ა ხ ე ვ ი . — სოფელია.

— ჩემთან რად მოხვედ, ქმოზილო,  
არა ხარ ჩემი საფერი!  
— მოვედი, წავალ ისევ,  
ორი სიტყვა მაქვს სათქმელი:  
დაგლუპეს ქვეის ქვრევებმა,  
იმათკენ ჯაჭონდა ცალ ხელო!  
— მე ისეთ არაფერ მაქნავ,  
რისიც შენ არ ხარ ჩამადგნი:  
გასტეხე თათრის მეჩეთი,  
შორს გაგიფარდა სახელი,  
ციმბირში გადავსახლეს,  
კატორღა მოგვეცეს რვა წელი.  
შენ უნდა მეჩეთზე ება,  
ფეხებზე გეხას საბელი.  
ცოლვებსა ნანიოდეს,  
ხან მღოლა ცეცობდეს, ხან — მღვდელის!

ს ა ფ ე რ ი — შენაფერისი, მსგავსი.

— რა ყროლ კაცი ხარ, მკივანო,  
ქოსა გასხავის წვერია.  
— შენ თუ წვერიან კაც მოგწონს,  
წაღი, წვერიან ღვდელია!

എന്ന നാൾ — ൧൭൭൭.

— ღვინო დალიე, სახელავ,  
კონდოლის ვაზის წვენი.  
— რა გედევა კონდოლამდენა? —  
ახმეტას რამოდენია!  
— ვარჩევდი სიკეთეზედა,  
ლიდკაის შესაფრია.  
— კაცს ის არ ჰფრია აიღოს,  
რაც ხელში არა სჭერია!

რა გეღვა — რა გინდოდა, რად მიდიოდი.

— დაგიწვი, ჩოთათ ივანე,   
 თოფის სალიშნედ ცალ თვალი,   
 ცოცხალ როგორღა გაუშვი



დათვი, გოდორში ჩამძვრალი?  
— დათეს როგორ შავეჭმევოდი? —  
ჩემთვი გავიქე დამფრთხალი!

მოიდა ფოშტალიონი,  
ჩემის კარისას ზხა აქო,  
მეცნობა ახალ ამბავი:  
„მალკას არღან მააქო“.  
ფეტივი მუხნოზე ხელს იცემს:  
„რა საამუროი ხმა აქო!“  
თამაშობს შუშანიკი,  
სუ უერთ ბრაციბრუკ გააქო.  
ჯაბან მალილით დახედავს:  
„ქორჩილით, თუ რა აქო?“  
— ეგ არღან აქით დალუპეთ!  
მეაფა ღიღ ზარალ მააქო,  
მეგა არღანის მხილდასა  
„ნალოგებ“ ვეღარ შააქო,  
მთაში დარჩება თიევი,  
როჭოებს ქალიღ გააქო.

რ მ ჰ მ — მთის ფრინველია.



შეაგროვა ალექსი ჭინჭარაულმა




**„შინ პრეტენზია:  
შინ არა. ქვეყანა  
დაინახოსა!“**

## ნიანგი თეატრალში

„სოფელი თეატრალა მუდებარ... პს და-  
ბა ზესტაფონსა და ჩხარს შუა. ამ სოფელს  
გურფა მიდამო აქვს. ბუნების მხრით დაჯილ-  
დობულმა თერჯოლამ საზოგადოდ მოსაგა-  
ლი კარგი იცის: სიმინდი, ღვინო, ბამბა, თუ-  
თუნი, ბოსტნეული და სხვ.“

გაზეთი „მეოცის ფურცელი“,  
1897 წ., № 366



ნ. ჯ. ლოლუასი

— ამ ასფალტს ჩხარში რატომ არ აგებთ?  
— ახალგაზრდობა გილია-გილია გაგვყარა აქედან და  
ასფალტის გზა რომ გავეყვანოთ, მაშინ ნახე შენ გაა-  
ცეხა!

**ნიანგი მარხულობს.** გასული, მეცხრამე-  
ტე საუკუნის დასასრულისათვის, ეგყობა, მარ-  
თლაც ისე იყო, როგორც „ცნობის ფურცელი“  
იგეობინება, მაგრამ, სადღესოდ, თუთუნსა  
და ბამბას აღარაფრად დაგიდევნ თერჯოლა-  
ში, რამეთუ აქაური მიწის მოცდენა სამაგი-  
სოდ არა და არ ღირს! თერჯოლა — ეს „და-  
სავლეთი საქართველოს გურჯაანი“ — სწო-  
რედ მევენახეობით არის გამორჩეული და  
აღზევებული.

მართალია, ნიანგს ყველაფერი ასპროცენ-  
გიანი უყვარს, ხუმრობაცა და საკბილოც,  
მაგრამ იგი, ამავე დროს, უაღრესად ობი-  
ექტური და სამართლიანობა — როდესაც  
ვინმეს წარმატებებზეა ლაპარაკი, ასზე მეტ  
პროცენტსაც იტანს.

შევეშვით რევოლუციამდელ რუსეთთან თუ  
მენშევიკურ საქართველოსთან შედარებებს  
(სალაპარაკოდაც არ ღირს), მაგრამ 1972  
წელს თუ დავიგოლებით, სულაც არ იქნება  
უხერხული.

და, აი, 1972 წელთან შედარებით, 1980  
წელს 73 პროცენტით მეტი ყურძენი დაიკრი-  
ფა თერჯოლაში, ანუ გვემით გათვალისწი-  
ნებული 21.000 ტონის ნაცვლად — 28.629  
ტონა, კიდევ უფრო ზუსტად, ანუ — 7.629  
ტონით მეტი. ეს კი, დაახლოებით, მთელი  
ხუთი მილიონი მანეთია!

ბარაქალა თქვენ, თერჯოლელო მევენახე-  
ბო! იცოცხლეთ და იბედნიერეთ!.. არც გურ-  
ჯაანელთ უნდა შეიცხადონ მათთან შედა-  
რება, რამეთუ ორივენი ღირსეული ფალავნე-  
ბი არიან — ერთმაც და მეორემაც საკავში-  
რო გარდამავალი წითელი დროშით დააგვირ-  
გვინეს მათე ხუთწლედი!

ასე რომ, შესაგრებთა გადაადგილებით  
ჯამი არც ახლა იცვლება!


ხოლო ნიანგი კი ისევ ისე მარხულობს.  
რა ქნას, საკბილოს ვერსაით წაეგანა ჯერ-  
ჯერობით თერჯოლაში...

რაიონის მევენახეთა წარმატებაში დიდი  
წვლილი მიუძღვის თუზის კოლმეურნეობის  
თავმჯდომარეს, განათლებით ისტორიკოსს,  
საქართველოს კომპარტიისა და სკკპ XXVI  
ყრილობების დელეგატს ვაჟა ღავთაძეს, რომ-  
ლის კოლმეურნეობამაც შარშან, 777 ტონის  
ნაცვლად, 900 ტონა მალახარისხივანი ყურ-  
ძენი მოიწია.

ეწველი გერენგი ქარქაშაძის ბრიგადამ  
ხუთწლედი 225-ის ნაცვლად 235 ტონა  
მოიწია, ხოლო რუფოთის საბჭოთა მეურნეო-  
ბის ბრიგადირი გივი არაბიძე შარშანდელი  
შედევებისათვის საქართველოს კომპარტიის  
პრემიის ლაურეატი გახდა.

სიქთარვის კოლმეურნეობის ბრიგადამ,  
რომელსაც შრომის წითელი დროშის ორ-  
დენის კავალერი გრიგოლ რობაქიძე ხელმძღ-  
ვანელობს, ხუთწლიანი გეგმა 100 ტონა  
ყურძნის გადამეცებით გააწაღდა!

მეგობრული შარტი გ. შირცხალაშაძის



აგრაფინა ლესელია

იცით თუ არა, რომ...

**ყოველ 700 თერჯოლელებზე ერთი სტუ-  
დენტი მოდის?..**

**თერჯოლის საკონსერვო ქარხნის**

წლიური სიმძლავრე 6.000.000 პირობით  
ქილას შეადგენს?..

**1949 წლამდე თერჯოლის რაიონს ჩხა-  
რის რაიონი ეწოდებოდა?..**

**„თერჯოლა“ წარმოადგება „თეთრ-  
ბელოსაგან“? (აღმოსავლეთი საქართველოში  
მოსალოდნელი იყო „თეთრთუთა“).**

**გენერალმა შამშანური ღვინოების  
ქარხნის წლიური სიმძლავრე 12 მილიონი  
პირობითი ბოთლით განისაზღვრება?..**

**თერჯოლა** საკმაოდ ინტერნაციონა-  
ლური რაიონია. სხვადასხვა დროს აქ ერთმა-  
ნეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველი  
აბულაძეები და პოლონელი ბელიშევიცები,  
რუსი ვოლკოვები და ებრაელი შაქარაშვი-  
ლები, ხოლო ყოფილ ქალაქ, შემდგომ დაბა,  
ან უკვე სოფელ ჩხარში ჯერაც ცხოვრობს და  
შემოქმედებით შრომას ეწევა პარიკმახერი  
ალიკო აუშტროვი?

**ჩხარალები** და ხონელები თავის  
დღე და მოსწრება ეჯიბრებიან ერთმანეთს  
ენამოსწრებულობაში და რომ, ჯერჯერობით,  
ანგარიში საყაიმოა... პოეტი-აკადემიკოსის  
ირაკლი აბაშაძის წყალობით?..

**ღიალოგი კახელ სტუმართან:** — ეგ  
ყოველივე ჰო, მაგრამა, ღვინო მაინც ჩვენ-  
ბური სჯობიან, უფრო მაგარი და გამგანია!  
საკამპანია, რადა!

— ვინ დავობს მერე, ჩემო ბაგონო, მარა  
იმისთანა კამპანიას დავასხი თავსტაფი,  
შამპანურს თუ არ დამაყოლებინებს, აპა!

**ნიანგი ჩაიწა გადამის.** ნიანგს ვილა-  
ცამ წასწერულა, ჩაი მარხვაში უებარი რამ  
არისო. იმნაც გაიფიქრა, იქნებ სწორედ ჩაი-  
ში ვერა აქვთ რიგიან-პირიანად თერჯო-  
ლელთ საქმეო და სათვალემომარჯვებული  
ედგერა სტატისტიკურ მონაცემებს. ძვერით კი  
ედგერა, მაგრამ, რაკი კბილგასაკრავი აქაც  
ვერარა იპოვა, ისლა დარჩენოდა, ბლოკნოგი  
ამოედო (ის ხომ უაღრესად ობიექტურია!) და  
საგულდაგულოდ ჩაეწერა: ნაცვლად 4.130  
ტონისა, 5.578 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს  
დაკრიფეს თერჯოლელებმა მეჩაიებმა მათე  
ხუთწლედი, ანუ მთელი 1.450 ტონით მეტი  
„სიცოცხლის ელექსირი“ მიაშველეს დამატე-  
ბით სამშობლოს!..

კარაგესი არ იყოს, ჩაის კულტურა თერ-  
ჯოლის რაიონისათვის ახალი ხილია, ამიგომ  
მახარაძელებს ნუ ჩააცინებთ ეს ციფრები,  
ნურც ქობულეთელთ და სხვათა და სხვათ!  
ახლა, სულ მთლად ამირან გოროგაძეაო, ვერ  
გეტყვით, მაგრამ მარცვლეულის, ყურძნისა  
და ჩაის ფრონგებზე ერთნაირი წარმატებით  
მებრძოლმა გერენგი ქარქაშაძის ბრიგადამ,  
217-ის მაგიერ, 344 ტონა ჩაი მოკრიფა ხუთ-  
წლედი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი  
საბჭოს დეპუტატმა ლამარა აბულაძემ შარშან  
3,3 ტონის ნაცვლად — 23 ტონა!


**მარხვას ბოლო არ უნახს!** თუ დაუკვირ-  
დით, კორესპონდენტი „ცნობის ფურცელში“,  
უპირველესად, სიმინდს მოიხსენიებს. ბუნებ-  
რივც არის, რადგან იმდროინდელ საქართვე-  
ლოში წამყვანი კულტურა, რა თქმა უნდა,  
სიმინდი გახლდათ, სიმინდი, რომლის ფქვილ-  
მაც, ნივჭისა არ იყოს, ნამეგანი დიფაზა  
თავი!

შარშანდელი წელიწადი ამ მხრივაც წარ-  
მაგებით დაუმთავრებიათ თერჯოლელებს —  
770 ტონის ნაცვლად, 870 ტონა, ანუ ასი  
ტონით მეტი. თუ თბილისის საკოლმეურნეო  
ბაზრების ფასებით ვიანგარიშებთ, ფქვილად  
გარდაქმნილი ეს ასი ტონა სიმინდი კი  
150.000 მანეთი ფულია!..

სიმინდის მოყვანაში განსაკუთრებით გა-  
მოიჩინეს თავი ქვედასიონეთელმა (გაუგებ-  
რობის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ, შე-  
დასიონეთელში არ აგერიოთ) დავით  
კლდიაშვილმა — ჰექტარზე საშუალოდ 35  
ცენტნერი და ისევ გერენგი ქარქაშაძემ — 29  
ცენტნერი.

ბარემ აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ  
დავით კლდიაშვილს (არა სამსონის ძეს, არა-  
მედ ვლადიმერის ძეს!) და მის ბრიგადას გან-  
საკუთრებული მიღწევები მებოსტნეობაშიც  
აქვთ: საშუალო გაანგარიშებით ჰექტარზე  
270 ცენტნერი პამიდორი და 220 ცენტნერი  
ხახვი მოიწიეს.





ბერანტი ქარაშაძე

ვერ გეტყვით, გვარს გააქვს თავისი თუ სახელს, მაგრამ ეს დავით კლდიაშვილიც პირდაპირი კაცი ყოფილა, სიმართლის მოყვარული და უადრესად კეთილი.

**ამ რაველს!**  
ასევე 29 ცენტგერი სიმინდი მოიწიეს საშუალოდ ჰექტარზე ჩხარის კოლმეურნეობაში, სადაც დანარჩენი კულტურების მიხედვითაც ჩინებული მონაცემები აქვთ.

რძე და ხორცი თერჯოლებს, მართალია, თავსაყრელად არა აქვთ (ვისა აქვს?!), მაგრამ მჭადზე და ბოსტნეულის კერძისათვის ნიანგს ჭიქა რძეც რომ დაეყოლებინა, ცოტას მოსურსებადებოდა, თორემ... საკბილო აქაც არაფერი მაინცდამაინც — შესრულებით რძის გეგმაც შეუსრულებიათ და ხორცისაც.


ბევრი სახელოვანი მეაბრეშუმე ჰყავს თერჯოლის რაიონს, მაგრამ მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა სკკპ წევრი, ქვედასიმონეთის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეთა რგოლის ხელმძღვანელი, მეაბრეშუმეთა რაიონული პრიზის მფლობელი, ლენინის ორდენის კავალერი, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი **ნუგა ჩუბინიძე**. მარტივად ვიგეყვით — პირადად მან ხუთწლედში, 288-ის ნაცვლად, 857 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიჰყიდა სახელმწიფოს!..

**„სკოლა ძალიან საჭიროა ჩვენს დაქვეითებულ სოფელში. დიან, უსკოლობა ძლიერ გვაღიწებს!“**  
ისევ „ცნობის ფურცელი“.

**მეპარსულე ნიანგი გარისგის როლში.** ბევრი იფიქრა და იდავიდარბა ნიანგმა, საიდან დაეწყო, პირველ ყოვლისა, რა ენახა და შეეთვალე რებინა თერჯოლაში გულის გადასაყოლებლად, მაგრამ ვერ გადაწყვიტა. ბოლოს, „არიოლ-რეშკას“ მიმართა, და მშვიერ კუჭზე ისე მძლავრად მოისროლა შაურიანი, შიშით გაადევნა თვალი — არ დამეკარგოსო.

ბევრი იფრინა თუ ცოცხალი იფრინა, შაურიანმა პიონერულ ქალაქ „საპოვნელას“ გერიგორიაზე მოადინა გაყაპანი. ნიანგმაც „საპოვნელაში“ დაიწყო.

მშვენიერი სანახაობა დაუდგა თვალწინ:



დავით კლდიაშვილი

შესანიშნავად გამართული საცხოვრებელი კორპუსები, სპორტული მოედნები, გასართობი საშუალებანი, საცურაო აუზი... მართლაც რომ ყველა პირობაა ბავშვის დასასვენებლად. მე შენ გეტყვი და, საგზურია ძვირი — 16 მანეთი 24 დღით!

ბარემ აქვე ვარო და, ნიანგმა ქორწინების სახლსაც შეავლო თვალი. გულწრფელად იწანა, რომ თვითონ აღარ იყო საქორწინო. ქორწინების სახლი საკმაოდ ორიგინალური და საინტერესო არქიტექტურულად. იქვეა ახალგაზრდობის კლუბიც — **„ვაზის ყვავილობა“**.

**მშანის** თანამშრომლებმა ნიანგის დანახვაზე მხრები აიჩქეს: დაბადების მოწმობა თუ უნდა, ვერ მიეცემთ, ჩვენებური არააო!

იქიდან დაბრუნებულმა ჯერ სამხატვრო გალერეაში შეიარა და შესანიშნავი საბჭოთა (უმეტესად ქართველი) მხატვრების ნახატებს შეავლო თვალი, დაგება ემოციურად და დაშოშმინდა მორალურად, მერე, მადა ჭამაში მოდისო და, ბავშვთა მუსიკალურ თეატრში საბავშვო ოპერაც მოისმინა. თვალი დაუამდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის

ისიც გაანდო: თერჯოლელი ავადმყოფი ნამდვილად ვერ დაიჩემებს, რესპუბლიკაში ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფი ვარო...

ახლა განათლების განყოფილებაში შეიარა, სადაც უთხრეს: ამჟამად 600-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში; გამოვიდა იქიდან, ჯერ პურსაცხობი დაათვალიერა, მერე კავშირგაბმულობის ახალი შენობა, ბოლოს კი სასწავლო-საწარმოო კომბინატს მიაშურა, აქ გოგონები ჭრა-კერვას ეუფლებიან, ვაჭები კი — მძღოლობასა და გრაქტორისგობას; ხოლო სულ მთლად ბოლოს საუცხოო კულტურულ-საგანმანათლებლო უამრავ ხალხს მოეყარა თავი — საზეიმო ცერემონიაში გადაეცა თერჯოლის რაიონის (ხუთწლედში მეორედი!) საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა! რასაკვირველია, დაესწრო საზეიმო კონცერტსაც, მით უმეტეს, რომ მასში მონაწილეობდა ინგლისში გამართული ხალხური ხელოვნების ფესტივალის ლაურეატი, თერჯოლის რაიონის სიმღერისა და ცეკვის გუნდი „იმერეთი“! გუნდი, რომელმაც თბილისის დინამოელებით დააგვეყვა ამ რამდენიმე წლის წინათ



ნ. ლ. ლ. ლ. ლ.

— მთელი კვირა ამ რომ დგახარ, სახლი არა გაქვს?  
— სახლი კი არა, სასახლე გაქვს, მაგრამ ახლა ავეჯი მინდა შევიძინო!

დანახვით, მერე თავი ამოყო საკონსერვო ქარხანაში, რომელიც რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით აიგო. ბოლოს ვიღაცამ შეიბრაღა, მანქანაში ჩასვა ფრთხილად — არ მიკბინოსო და რაიონის სოფლებში მეთათუ ხუთწლედში აშენებული თერთმეტი საშუალო და რვაწლიანი სკოლა შემოაგარა, ამდენივე საბავშვო ბაგა-ბაღი (ერთ სკოლაში სახელგანთქმული სარდლის, გენერალ კონსტანტინე ლესელიძის და გააცვენეს — აგრაფინა ლესელიძე — ჩვენი სასიკადალო რძალი და პედაგოგიაო) ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ ინაგრა: ნეგამც ახლა „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი საფლავიდან წამოაყენაო. ამასობაში მუხლები დაუშმინდა და სიმონეთისკენ გაუგტა.

გზად ვეება ქარხნის კონტურები გამოჩნდა, უკეთ — ქარხნებისა. გაიკითხა და შამპანური ღვინოების პირველადი გადამამუშავების ქარხანაო, უთხრეს... იგრილა სოფელ-სოფელ და ერთხელაც არსად შებრკოლებულა უხილდობის გამო: ბოლო ხუთწლედში თერჯოლის რაიონში 12 ხიდი და ბოგირი ააგეს!

გულაჩუყებული ნიანგი (თანაც გვარიანად მოშიებულ!) ისევ რაიონულ ცენტრს დაუბრუნდა და საკმაოდ მდიდრულ, კეთილმოწყობილ ცენტრალურ ბიბლიოთეკას ეწვია; ოაზისში ეგონა თავი, იმდენი სიმწვანე (ყვავილები) და სისუფთავე იხილა შიგ; შემდეგ რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს განყოფილებები დაათვალიერა (ცოცხა ეხამუშა, როცა მთავარი ექიმის კაბინეტიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმინა). მაშინ იყო მეგზურმა რომ აუხსნა: მე-10 ხუთწლედში ჯანდაცვის გასაუმჯობესებლად, მართალია, 40 პროცენტით მეტი დაიხარჯაო, მაგრამ საიდუმლოდ

ეგზომ თავდაჭერილი ინგლისელი მაყურებლები!..


**ნიანგს დიდმარხვა ეშუქრება.** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველ მდივანთან **ანზორ ბურჯანაძესთან** საუბრისას კი ნიანგმა ისეთი ინფორმაცია მიიღო, მგონი, საერთოდ მოეპოო თერჯოლაში რაიმე საკბილოს შოვნის იმედი. ამჟამად თუ მაინც მოახერხა (ამის თაობაზე ქვემოთ!) რაღაც რაღაცის გაენახა, პერსპექტივაში მას უდავოდ დიდმარხვა ემუქრება და უჯვოს, ლობიოს ნეადარეგი აქედანვე დაიჭიროს!..

— საბჭოთა საქართველო თავის მესამოცე წლისთავე არნახულ გამარჯვებას ზეიმობს! — რიხიანად დაიწყო ამხანაგმა პირველადი მდივანმა, — ზედისედე მერვედ იქნა სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი შეფასებული ჩვენი რესპუბლიკის შრომითი თავდადება.

ამ დიდ გამარჯვებაში თავისი წვლილი დაიდეს თერჯოლელმა მშრომელებმა, რომლებიც ერთგულად მიჰყვებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინურ პურსს. ისინი ამ დიდ ზეიმზე გამარჯვებულნი მოვიდნენ, გამარჯვებული სახალხო მეურნეობასა და კულტურული აღმშენებლობის ყველა სფეროში; ამაღლდა ცხოვრების დონე, გაღამაზდა და გამშვენიერდა ჩვენი რაიონი, მაგრამ ამის შესახებ, ვგონებ, უკვე გეუწყათ...

ახლა ორიოდე სიგყვით იმაზეც, რასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ: არათუ ვაპირებთ, გვჯერა და გვყამს, რომ შევასრულებთ და რეალურს გავხდით ჩანაფიქრს. უახლოეს ორ წელიწადში ჩვენს რაიონში აიგება და მწყობრში ჩადგება:





ვაჟა ლაშვიაძე

**ჩასაშლელია** ერთ-ერთი უდიდესი ხი-  
ლი მდინარე ყვირილაზე, რომლის სიგრძე  
140 მეტრი იქნება, განი კი — 9 მეტრი.

ამ ხილზე აღრე ოცნებას კი არ შეეძლოთ  
აქაურ მცხოვრებლებს. ვთქვათ, ბარდუბანთან  
(სადაც ახლა ხიდი შენდება) მდინარის ერთი  
ნაპირიდან მეორეზე რომ მოხვდეთ (იქითა  
მხარეს კი უნოყიერესი საძოვარი და სათესი  
სავარგულებია!), 80 კილომეტრი უნდა გაა-  
როთ, 140 მეტრის ნაცვლად მთელი 80 კმ!

ხიდის მშენებლობის დამთავრებას საგაი-  
სოდ ვვარაუდობთ.

**აუხედე** თერჯოლის მეღვინეობის კომბ-  
ლექსი; შარშან ექსპლოატაციაში შევიდა პირ-  
ველადი გადამამუშავების ქარხანა, წელს დას-  
რულდება შამპანური ღვინოების ქარხნის  
მშენებლობა, აშენდება სპირტის, კონიაკისა  
და ხილის ღვინოების ქარხნები.

**მიფინარაოვს** ბუნებრივი გაზის გამოყ-  
ვანასთან დაკავშირებული სამუშაოები; ბუ-  
ნებრივი გაზით რაიონის ყველა სოფელი დაკ-  
მაყოფილდება თანდათანობით...

**წლის** ბოლომდე უნდა დასრულდეს ახალი  
მძლავრი საგელეფონო სადგურის დამონტა-  
ჟება, რის შედეგადაც, კოდის მეშვეობით,  
ყოველ აბონენტს შეეძლება დედაქალაქთან  
მყისვე დაკავშირება.

**შენდე** და წელს უნდა დასრულდეს  
კულტურის სახლის მშენებლობა მდიდარი რე-  
ვოლუციური წარსულის მქონე სოფელ ჩხარ-  
ში; იგი უახლესი ტექნიკური აღჭურვილობით  
დამონტაჟდება და ცალ-ცალკე ექნება კინო  
და საკონცერტო დარბაზები.

**რაიონის** ცენტრში აიგება სამი მრავალ-  
სართულიანი საცხოვრებელი სახლი.

**დაიწყო** სტადიონის მშენებლობა 10 ათასი  
მაყურებლისთვის.

**მიფინარაოვს** საბაგირო გზის მშენებ-  
ლობა რაიონის ცენტრიდან პიონერულ ქალაქ  
„საპოვნელამდე“.

**მალე** პირველ პროდუქციას გამოუშვებს  
რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მძლავრი  
პოლიგონი და ა. შ.

გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ, როგორც  
იოქვა, გეგმები საფუძვლით რეალურია.

ნაზგაშთად არ გვისაუბრია რაიონის აღ-  
გილობრივი მრეწველობის, რაიკოოპკავში-  
რის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო სამ-  
მართველოების საქმიანობაზე, მათ გეგმებსა  
და პერსპექტივებზე. თითოეულ მათგანს კი  
თავისი წვლილი შეაქვს რაიონის ეკონომი-  
კური პოტენციალის ზრდაში.

დიდსა და სასიკეთო საქმეს ასრულებს კავ-  
შირში ერთ-ერთი მოწინავე, თერჯოლის სა-  
მეურნეობათაშორისო ავტოსატრანსპორტო სა-  
წარმო, რომელმაც შარშანდელი წელი 64.000  
მანეთის მოგებით დაასრულა!..

ნიანგს რომ ეგონა, ახლა კი მოვიტყვამ,  
მგონი, სულს, ნაკლოვანებებზე გადავავო,  
სწორედ მაშინ განაგრძო მდივანმა:

— ბევრი აუშომედეგელი რეზერვაც გვაქვს.  
კიდევ მეტის გაკეთება შეიძლება, ყველას  
რომ თავდადებულია ეშრომა. ნაკლიც გავვა-  
ჩნია, რა თქმა უნდა! (ნიანგს პირზე ნერწყვი  
მოადგა!)

სოლიდური რეზერვები, მაგალითად, მევე-  
ნახეობაში. მეჩხერიანობით გვაკლია 370  
ჰექტარი ზვარი. ეს გასული წლის საჰექტარო  
დონით 1.600 გონას უდრის, ანუ ერთ მი-  
ლიონ მანეთს დამატებით!

ნ. ჯ. ლოლუასი



რეზერვები საკვებწარმოებაშიც — რაიო-  
ნის სახნავი ფართობის 15-20 პროცენტზე  
რომ ორი მოსავლი მოვიყვანოთ, ეს დამატე-  
ბით 8-10 ათასი გონა საკვება პირუტყვისა-  
თვის, იგივე დამატებითი ხორცი და რძე.

რეზერვები ბოსტნეულის წარმოებაშიც —  
მარგო საადრეო კომბოსტოსა და პამიდორის  
ახალი ჯიშის „კროსის“ დანერგვით შეგვიძ-  
ლია მივიღოთ დამატებით 8.000 გონა ბოს-  
ტნეული, ესე იგი, ახლანდელი 7.500 გონი-  
დან ერთბაშად 15.000 გონამდე შეგვიძლია  
ასვლა. აი, რეზერვი!

საზოგადოებრივ სექტორში საჰექტარო ყურ-  
ძნის მოსავლიანობას 40-დან 60 ცენტნერამდე  
მაინც თუ გავზრდით, ახლანდელი 7.000 გო-  
ნის ნაცვლად, 15.000 გონას მივიღებთ, ხო-  
ლო მოსახლეობამ შარშანდელი დონეც რომ  
შეინარჩუნოს, სახელმწიფოს 37 ათას გონა  
ყურძენს მივყიდით. აი, რეზერვი!

გვინდა გვერწმუნოს საქართველოს კომ-  
პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიუ-  
როს შემადგენლობა, რომ თერჯოლელი მარ-  
თალი კაცი, ალაღი და მშრომელი კაცი დრო-  
შას ძირს არ დახრის! ვიშრომებთ და ვიბრ-  
ძოლებთ ისე, როგორც კომუნისტს შეეფერე-  
ბა!

**გახსენიება.** ნიანგს პირზე მომდგარი  
ნერწყვი ახრჩობდა, საკბილოს ძებნაში თვა-  
ლებს აცეცებდა და აი, ნაკლია. აი, ხარვეზიც,  
თუ გნებავთ, დანაშაულიც!

დიახ, მთელი პრინციპულობით ვერ ებრძ-  
ვიან ხანდახან თერჯოლელი ამხანაგები მუქ-  
თანობებს, უსაქმურებს (მომავალ ბოროტ-  
მოქმედს).

... სოფელ ქვედა სიმონეთში ცხოვრობს  
თავისთვის არხინად გარიღლ მიხეილის ძე  
ლილიკაძე, დაბადებული 1945 წელს, ახალ-  
გაზრდა კაცი, რომელმაც მასზე გაპირრწე-  
ბული 0,3 ჰექტარი ვენახიდან, 0,1 ჰექტარი  
პამიდორის ბაღიდან და 0,3 ჰექტარი სიმონ-  
ლის ყანიდან იმდენად უმნიშვნელო მოსავ-  
ლი მოიწია, რომ, ფაქტურად, მიწა მოაც-  
დინა.

... ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად  
მუშაობს თერჯოლის სილიკატური აგურის  
ქარხანა. გარდა ამისა, აქედან შარშან, მარ-  
გო ერთ დღეს, ექსპედიტორმა, **რევაზ ვლადი-  
მერის ძე ლალიძემ** (1937 წელს დაბადებულ-  
მა, ცოლშვილიანმა კაცმა) 3.500 ცალი აგუ-  
რი გაიტაცა.

... გოლგინისა და კვანჭირის კოლმეურნეო-  
ბებმა, 1972 წელთან შედარებით, 1980 წელს  
224 გონით ნაკლები მარცვლეული მოიწიეს  
(იფ, იფ! მადაზე მოვიდა ნიანგი).

... კაი ხანია, სოფელ ჩხარში, საიდანაც  
ახალგაზრდა მუშახელის მიგრაცია დღითი-  
დღე მატულობს, ეპირებიან სამეკრავლო  
ფაბრიკის აშენებას. კეთილ ინებოს და, ვი-  
საც ეს ევალება, შეასრულოს კიდევაც!

... კიდევ უფრო უცნაური პოზიცია აქვს  
გაერთიანება „საქმურნეველმრეწველს“.

რომელიც უსაშველოდ აჭიანურებს თერჯო-  
ლის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეო-  
ბის ფაბრიკის რეკონსტრუქციას. (იფ, იფ, ჩა-  
ხოხბილია, რაღა! — ნიანგი).

**ააჰ, ნახვამდის** და სულ კარგად  
მენახე, სანატრელო, მზეგრძელო და ხვავია-  
ნო თერჯოლავ! დიდი დავით კლდიაშვილის,  
სერგო კლდიაშვილის, პეტრე ამირანაშვილის,  
თომა ჩუბინიძის, გიორგი ყურულაშვილის,  
დავით ჯაბიძისა და ოთხთათასამდე შინმოუს-  
ვლელი გმირის მშობელო მიწავ და წყალო,  
ყველასათვის სასურველო, შროიანო ალაგო!..


ნახვამდის და მიდღემჩი (მის დღეში) არ  
ჩავარდნილიყავი ნიანგის დამშეულ ყბაში!

შენთვის კეთილისმსურველი „ნიანგის“  
სპეცკორები: **გიგო ჯარაქაძე,**  
**გარიღლ ჩარქსელიანი.**

## ყაზოქული დილოგები

- სამი ქალაქი დარჩა: გორი, ქობულეთი, ოჩამჩირე. სად ისურვებ მუშაობას?
- თერჯოლაში, პატივცემულო!
- თერჯოლაში რომ იყოს ადგილი, მეც სიამოვნებით წავიდოდი!

— კაი, ვთქვათ, შედასიმონეთელი დავით  
კლდიაშვილივით მწერალი ვერ გამოვიდოდა,  
მარა, ქვედასიმონეთელი დავით კლდიაშვი-  
ლივით გამრჯე და მუყაითი რომ ბრძანებუ-  
ლიყო, ხომ არ ჩამოაჭრიდნენ ნაკვეთს?!



გივი არაკიძე

— გატონო თამადა, რაი ამ ყანით დამაჯა-  
რიგეთ, მაღი: ღანით ეს ხალხი ცხრა მიტრზე!..



781

81-400

ნ. ზ. ლავაშვილი



საბერძნო და იუდაური  
შურნალი „ნიანგი“  
№ 10-11 (1997) ქაინი-იხენი  
გამოცემის 1923 წ. იანვრისა.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლგოზაძე

საკრედიტო  
კოლეგია:  
ვახუა ამირაჯიძე,  
ნოზაძე გარბაძე,  
გორის გურგულია,  
ნოზაძე დუგაძე,  
რევაზ თვარაძე,  
ჯავახი ლოლუა,  
ნოზაძე გილაშვილი  
(მხატვარი-რედაქტორი).  
გაუთხარ სიხარულით  
(კახუხიშვიტელი მდივანი).  
ალექსანდრე სამხონი,  
გილაშვილი გარბაძე,  
ჯავახი გარბაძე,  
თავაზ ვიწროვანი,  
ვახუა გილაშვილი  
(მთავარი რედ. მოადგილე).  
ნაზი ჯუღოსი.

ტექნიკური რედაქტორი  
გილაშვილი გარბაძე

გადაცემა უსაფრთხოდ  
4. 5. 81 წ.  
საბერძნო-იუდაური  
1. 6. 81 წ.  
გადაცემის ზომა 70x108 1/2  
ფორმატი ნაბეჭდი  
ფურცელი 2  
საბერძნო-იუდაური-საბერძნო-იუდაური  
თავაზი 1,7  
საბერძნო-იუდაური კ. ციკის  
გამომცემლობა  
ლენინის ქ. № 14.  
შეკვეთა №1316 ევ 00706  
ტირაჟი 150.950.  
ქართული გამოცემის  
თვეში ორჯერ.  
რედაქციის შემოსული  
მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

გადაცემა გილაშვილი:  
380008, თბილისი-8, რუსთაველის  
პროექტი, № 42.  
ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 93-62-04, მთ.  
რედ. მოადგილის — 93-19-42,  
/მედიკოსის — 93-10-78, მხატვ.  
რედაქტორის — 99-02-38,  
განყოფილებათა გამგებების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშავე-  
ბის — 99-02-38, მდივანი-მეზან-  
ტის — 99-76-69.

Сатирико-юмористический  
журнал «НИАНГИ»  
(на грузинском языке)  
Тбилиси, пр. Руставели № 42.  
Издательство ЦК КП Грузии  
Типография Издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси, улица  
Ленина № 14.  
Фаб. 40. Жабия  
ინდექსი 76137

ქირილა: დავით გაბონო, მთელი ნახევარი საუკუნე აღარ ყო-  
ფილხართ აქეთ და მივადგათ, როგორ უჯახსაც გინახოთ, გაიღა-  
ჩაე სალომეს გაფიცებით, ყველას დგარივითა აქვს სახე მოწყო-  
ბილი!